ევროკავშირი
საქართველოსთვის

ხელისუფლების მხრიდან წამოსული ანტიდასავლური ნარატივების გავრცელება „ფეისბუქში“

სოციალური მედიის ანალიზი
2024

ხელისუფლების მხრიდან წამოსული ანტიდასავლური ნარატივების გავრცელება „ფეისბუქში“

სოციალური მედიის ანალიზი

2024

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია CRRC-საქართველო და შესაძლოა, იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

სარჩევი

მოკლე შეჯამება 4

შესავალი 6

მოკლე მიმოხილვა: ხელისუფლების წარმომდგენლების მხრიდან გაჟღერებული ანტიდასავლური რიტორიკა 2022 წლის ივნისიდან 2023 წლის ივნისამდე 9

ფაზა 1: უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონზე საუბრის დაწყებამდე პერიოდი (2022 წლის ივნისი-ოქტომბერი) 16

ფაზა 2: 2022 წლის ნოემბრიდან კანონის ინიცირებამდე, 2023 წლის თებერვლის შუამდე პერიოდი 23

ფაზა 3: კანონის ინიცირებიდან მის ჩაგდებამდე, 2023 წლის თებერვლის შუა რიცხვებიდან 10 მარტამდე, პერიოდი 29

ფაზა 4: კანონის ჩაგდების შემდგომი პერიოდი, 2023 წლის 10 მარტიდან ივნისამდე 35

დასკვნა 42

დანართი 1 - პოსტებისა მათი გამავრცელებლების მახასიათებლები, პოსტებში ნახსენები აქტორები 46

- პოსტების გავრცელების თავისებურებები 46
- პოსტების გამავრცელებელი გვერდებისა და ჯგუფების მახასიათებლები 47
- პოსტებში ნახსენები აქტორები 49

დანართი 3 - ანტიდასავლური ნარატივები 52

მოკლე შეჯამება

2022 წლის ზაფხულიდან ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ანტიდასავლური რიტორიკის ნიშნები გამოიკვეთა. 2023 წელს პირველად, ხოლო 2024 წელს მეორედ დაინიცირდა პარლამენტში კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, რომელიც 2024 წლის მაისში მიიღეს. ამავე წლის სექტემბერში მიიღეს ლგბტ უფლებების შემზღუდავი საკანონმდებლო პაკეტი. 26 ოქტომბრის არჩევნების წინა თვეების განმავლობაში გამძაფრდა საუბარი საქართველოში ომის საშიშროებაზე, რაც მმართველი პარტიის წინასაარჩევნო პლაკატებზეც გამოჩნდა. ამ კონტექსტის გათვალისწინებით მნიშვნელოვანი და საინტერესოა კვლევა ხელისუფლების მხრიდან გაჟღერებული ანტიდასავლური ნარატივების „ფეისბუქში“ გავრცელების შესახებ 2022 წლის ივნისიდან 2023 წლის ივნისამდე პერიოდში.

კვლევის პირველ ეტაპზე გაანალიზდა ხელისუფლების ლიდერებისა და პარლამენტის წევრების 2022 წლის ივნისიდან ერთი წლის განმავლობაში გაკეთებული გამოსვლები თუ წერილობითი განცხადებები, რის შედეგადაც განისაზღვრა ანტიდასავლური განწყობის შემცველი ნარატივები და გამოიყო საკვანძო სიტყვები. საკვანძო სიტყვების მეშვეობით შეირჩა „ფეისბუქ“ პოსტები, საერთო ჯამში, 6,280 პოსტი, რომლის პირველადი ანალიზის შედეგად რელევანტურად ჩაითვალა 2,243 პოსტი. ეს უკანასკნელი საფუძვლიანად გაანალიზდა.

კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- მთელი წლის განმავლობაში „ფეისბუქის“ პოსტებში იკითხებოდა არასამთავრობო ორგანიზაციების, ოპოზიციისა და დასავლეთის თანმიმდევრული დისკრედიტაცია.
- გაანალიზებულ პოსტებში ყველაზე ხშირად ნახსენები ხუთი აქტორი იყო: ნაციონალური მოძრაობა, რუსეთი, დასავლეთი, აშშ და არასამთავრობო ორგანიზაციები. რუსეთის გარდა, ყველა მათგანის ხსენების ტონი შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში უარყოფითი იყო. ნაციონალური მოძრაობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების შემთხვევაში მათი დადებით კონტექსტში ხსენება არ დაფიქსირებულა.
- მონიტორინგის პერიოდის პირველ ეტაპზე დასავლეთის საწინააღმდეგო რიტორიკა შეფარულად მიმდინარეობდა, კრიტიკის მთავარი სამიზნე არასამთავრობო ორგანიზაციები იყო. დასავლური ორგანიზაციები თუ ქვეყნები უბრალოდ მათ დამფინანსებლებად სახელდებოდნენ.
- მომდევნო თვეებში ანტიდასავლურ ნარატივებში კონკრეტული ქვეყნები და ამ ქვეყნების წარმომადგენლები გაჩნდნენ: აშშ და მისი ელჩი საქართველოში, ევროპა და კონკრეტული ევროპარლამენტარები. მათ აკრიტიკებდნენ, როგორც ქვეყანაში ისეთი ძალების

მხარდამჭერებს, რომლებიც ხელისუფლების ძალით გადატრიალებას და დესტაბილიზაციას ცდილობენ, რომ ხელისუფლებაში დააბრუნონ ნაციონალური მოძრაობა, რომელიც მათ ნებას უსიტყვოდ დაემორჩილება.

- მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა ომის საფრთხეზე საუბარი. ამაზე მითითება კეთდებოდა როგორც რადიკალური ძალებისა (ოპოზიცია და არასამთავრობო ორგანიზაციები) და მათი დონორების (დასავლური ქვეყნები და ორგანიზაციები) ზრახვების ინტერპრეტირებით, ასევე, ისეთ თემებთან კავშირში, როგორიცაა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის ვერმიღება, როგორც დამსჯელი ღონისძიება ომში არჩართვისთვის, ან რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციებისთვის არმიერთება.
- მონიტორინგის მეორე ფაზაშივე გაჩნდა ფრაზა „გლობალური ომის პარტია“, რომელიც მომდევნო თვეებშიც აქტიურად გამოიყენებოდა. იგი აღნიშნავდა ხან ნაციონალურ მოძრაობას, რომელიც ასევე „ადგილობრივი ომის პარტიად“ ან „ომისა და ღალატის პარტიად“ მოიხსენიებოდა, ხანაც ზეპარტიულ გაერთიანებას, რომელშიც იგულისხმებოდა აშშ-ს, უკრაინის, ევროკავშირის კონკრეტული ძალები.
- უკრაინა ხშირად იყო წარმოდგენილი უარყოფით ჭრილში, ხან როგორც ომში ჩამთრევი გლობალური ძალის ნაწილი და ხან როგორც მაგალითი იმისა, თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდება ქვეყანა, რომელიც დასავლეთის მითითებებს დაემორჩილება.
- ასევე ხშირი იყო საუბარი იმაზე, რომ დასავლეთი და მის მიერ დაფინანსებული და მხარდაჭერილი ქართული ორგანიზაციები/ოპოზიცია ქართულ ღირებულებებს და რელიგიას ებრძვიან და ცდილობენ, ქვეყანას ძალით მოახვიონ თავს ისეთი ფასეულობები, როგორიცაა ერთნაირსქესიანთა ქორწინება და ლგბტქი+ პროპაგანდა.
- მეორე ფაზიდან მოყოლებული ვრცელდებოდა ე.წ. ორი ევროპის ნარატივი. ერთი მხრივ, ევროპა, რომლისკენაც საქართველო მრავალი წელია ისწრაფვის. მეორე მხრივ კი სუსტი ევროპა, რომელსაც გარე ძალები მართავენ, რომელიც არ დაიცავს საქართველოს სუვერენიტეტს და ეროვნულ ფასეულობებს, და რომელიც ქართულ სარწმუნოებას და ტრადიციებს უპირისპირდება.
- „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი განხილული იყო, როგორც ქვეყნის სუვერენიტეტის გარანტი, რომელიც საქართველოს, მათ შორის ქართულ ღირებულებებსა და რელიგიას, გარე საფრთხეებისგან დაიცავდა და ქვეყნის შიგნით მოღალატე ძალებს გამოააშკარავებდა.
- კანონის მოწინააღმდეგე ახალგაზრდები წარმოჩენილნი იყვნენ, როგორც შეცდომაში შეყვანილი ჯგუფი, ვინც კანონს წაუკითხავად და გაუცნობიერებლად აპროტესტებდა; ასევე,

როგორც „სქესარეული ანარქისტები“, რომლებსაც გარე ძალები მართავდნენ და იყენებდნენ საკუთარი ინტერესების გასატარებლად. ამ უკანასკნელში უმეტესად ხელისუფლების დამხობა და ქვეყნის ომში ჩართვა მოიაზრებოდა.

- ანტიდასავლური ნარატივები მონიტორინგის დასაწყის პერიოდში უმეტესად „ხალხის ძალის“ განცხადებებს ეფუძნებოდა. დასავლეთის კრიტიკამ კონკრეტული სახე და სამიზნეები სწორედ ამ მოძრაობის ჩამოყალიბების შემდეგ შეიძინა.
- კანონის ინიცირებიდან მოყოლებული გახშირდა მმართველი პარტიის ლიდერების განცხადებებზე დაყრდნობით შექმნილი კონტენტი.
- პოსტების ავტორები ხშირად იყვნენ პოლიტიკური ძალები და ცალკეული პოლიტიკოსები, ასევე მათი მხარდამჭერი ექსპერტები და მედია საშუალებები, რომლებიც ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებებს სხვადასხვა ინტერპრეტაციით ავრცელებდნენ და მეტი სიმძაფრით ახდენდნენ დასავლეთის დისკრედიტაციას.
- ანტიდასავლურ ნარატივებს ხშირად კერძო პირები აზიარებდნენ საკუთარი პროფილით, რაც ზოგჯერ ეჭვს ბადებდა, რომ ეს პროფილები ნამდვილი არ იყო, ზოგჯერ კი კითხვა ჩნდებოდა, რაიმე დაინტერესება ხომ არ ჰქონდათ მათ, რადგანაც ერთსა და იმავე კონტენტს სხვადასხვა საჯარო ჯგუფებში აზიარებდნენ.
- ჯგუფები ანტიდასავლური რიტორიკის გავრცელების ერთ-ერთ მთავარ სივრცეს წარმოადგენდა და ეს იყო როგორც ხელისუფლების ღიად მხარდამჭერი ჯგუფები, ასევე, თემატური ჯგუფები, რომელიც აღწერაში მითითებულ თემას უხვევდა.

შესავალი

პროექტის „ანგარიშვალდებული და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული უსაფრთხოების სექტორის მხარდაჭერა კვლევების, ადვოკატირებისა და ინკლუზიური დიალოგის გზით“ ფარგლებში, რომელსაც „სოციალური სამართლიანობის ცენტრი“ პარტნიორებთან, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან“ და CRRC-საქართველოსთან ერთად ახორციელებს, CRRC-საქართველომ სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ 2022 წლის ივნისიდან 2023 წლის ივნისამდე ანტიდასავლური ნარატივები და მათი გავრცელება იკვლია. ამ პერიოდში ხელისუფლების წარმომადგენლები თანმიმდევრულ ანტიდასავლურ ნარატივებს აჟღერებდნენ, რაც შემდეგ სოციალურ ქსელებში ინაცვლებდა და ხშირად არა მხოლოდ პირდაპირ ვრცელდებოდა, არამედ გარკვეულ ინტერპრეტაციას იძენდა. უკრაინის ომის ფონზე ანტიდასავლური ნარატივები ხშირად ომის საფრთხეს უსვამდა ხაზს და, შესაბამისად, ქვეყნის სამხედრო და ტერიტორიული უსაფრთხოების საკითხს უკავშირდებოდა.

კვლევის პერიოდის განმავლობაში, 2022 წლის ივნისიდან 2023 წლის ივნისამდე, გარკვეულმა მოვლენებმა გავლენა მოახდინა ანტიდასავლურ ნარატივებზე. ამ მოვლენებს შორის იყო შემდეგი: „ქართული ოცნების“ წევრებმა ჩამოაყალიბეს მოძრაობა „ხალხის ძალა“, საქართველომ მიიღო რეკომენდაციები ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის ნაცვლად, ხოლო თებერვალში პარლამენტში დაინიცირდა კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“. ეს უკანასკნელი და მისი თანმდევი საპროტესტო აქციები კვლევის ერთწლიანი პერიოდის გარკვეულ კულმინაციად იქცა, რის შემდეგაც კვლევა დაახლოებით ორი თვის განმავლობაში კიდევ აანალიზებდა „ფეისბუქ“ პოსტებს.

თუმცა, კვლევას აქტუალობა არ დაუკარგავს, რადგან 2023 წლის შემდეგ კვლევაში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, რამაც გავლენა იქონია ხელისუფლების წარმომადგენლების რიტორიკაზე. 2023 წლის 14 დეკემბერს საქართველომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიიღო. 2024 წლის 3 აპრილს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, მამუკა მდინარაძემ, „უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონის ხელახლა ინიცირების შესახებ გამოაცხადა. მისი თქმით, კანონის შინაარსი იგივე იყო. კანონპროექტის ამ ვერსიაში „უცხოური გავლენის აგენტი“ ჩანაცვლებული იყო ტერმინით „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია“. მიუხედავად ხანგრძლივი და მასობრივი საპროტესტო ტალღისა და ევროპელი და ამერიკელი პარტნიორების მოწოდებებისა თუ კრიტიკისა, კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ პარლამენტმა 14 მაისს მესამე მოსმენით მიიღო, შემდეგ კი პრეზიდენტის ვეტოც დაძლია. 2024 წლის სექტემბერში კი პარლამენტმა მიიღო ლგბტ უფლებების შემზღუდავი, „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ კანონპროექტთა პაკეტი.[1] კვლევაში გამოვლენილი ტენდენციები და ის ანტიდასავლური ნარატივები, რაც 2022-2023 წლებში გამოიკვეთა, კვლავაც გაგრძელდა.

კვლევის პირველ ეტაპზე განხორციელდა ხელისუფლების ლიდერებისა და პარლამენტის წევრების გამოსვლებისა თუ წერილობითი განცხადებების ანალიზი 2022 წლის ივნისიდან ერთი წლის განმავლობაში.

კვლევის ფოკუსს წარმოადგენდნენ ხელისუფლების შემდეგი წევრები:

- ირაკლი ღარიბაშვილი, პრემიერმინისტრი
- შალვა პაპუაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე
- ირაკლი კობახიძე, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი

[1] https://www.radiotavisupleba.ge/a/33123114.html

- მამუკა მდინარაძე, პარლამენტის წევრი, ყოფილი საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი და პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე
- კახა კალაძე, მმართველი პარტიის გენერალური მდივანი, თბილისის მერი
- საპარლამენტო უმრავლესობაში შემავალი ჯგუფი „ხალხის ძალა“ და მათი ლიდერები: სოზარ სუბარი, დიმიტრი ხუნდაძე, მიხეილ ყაველაშვილი. ეს ჯგუფი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის ინიციატორი იყო.

ხელისუფლების ლიდერების განცხადებების ანალიზის შედეგად ჩამოყალიბდა ანტიდასავლური განწყობის მატარებელი ნარატივები და გამოიყო საკვანძო სიტყვები, რის საფუძველზეც შეირჩა გასაანალიზებელი „ფეისბუქ“ პოსტები. საკვანძო სიტყვების შესაბამისად საერთო ჯამში შეირჩა 6,280 პოსტი. თუმცა, პირველადი ანალიზის შედეგად რელევანტურად ჩაითვალა 2,243 პოსტი, რომელიც შემდეგ უფრო საფუძვლიანად გაანალიზდა.[2]

შედარებისა და ანალიზის მიზნით ერთწლიანი პერიოდი პირობითად ოთხ ფაზადაა დაყოფილი:

- ფაზა 1: უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონზე საუბრის დაწყებამდე პერიოდი (2022 წლის ივნისი - ოქტომბერი)
- ფაზა 2: 2022 წლის ნოემბრიდან კანონის ინიცირებამდე (2023 წლის თებერვლის შუა რიცხვები)
- ფაზა 3: კანონის ინიცირებიდან მის ჩაგდებამდე პერიოდი (2023 წლის თებერვლის შუა რიცხვებიდან 10 მარტამდე)
- ფაზა 4: კანონის ჩაგდების შემდგომი პერიოდი (2023 წლის 10 მარტიდან ივნისამდე).

ამ ოთხი ფაზის შესაბამისად ანგარიში მოკლედ მიმოიხილავს 2022 წლის ივნისიდან ერთი წლის განმავლობაში ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან წამოსულ ანტიდასავლურ რიტორიკას, რაც ერთგვარ შესავალს წარმოადგენს და ინფორმაციას იძლევა კონტექსტზე. შემდეგ კი წარმოდგენილია სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ამ რიტორიკის შესაბამისი საკვანძო სიტყვების საფუძველზე შერჩეული საჯარო პოსტების ანალიზი შემდეგნაირად: რომელია ყველაზე ხშირი ნარატივები, რამდენად მიყვება პოსტები ხელისუფლების რიტორიკას, როგორ ინტერპრეტაციას ახდენს, ვინ არიან ის აქტორები, ვისაც ფეისბუქ პოსტებში ყველაზე ხშირად ახსენებენ, ვინ, სად და რას ავრცელებს და როგორია „ფეისბუქ“ მომხმარებლების ქცევა კომენტარებში.

[2] „ფეისბუქ“ პოსტების ძირითადი მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია მოცემულია პირველ დანართში.

მოკლე მიმოხილვა: ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან გაჟღერებული ანტიდასავლური რიტორიკა 2022 წლის ივნისიდან 2023 წლის ივნისამდე

2022 წლის ზაფხულიდან ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებებში ანტიდასავლური რიტორიკის ნიშნები გამოჩნდა. ანტიდასავლური რიტორიკა განსაკუთრებით გაძლიერდა აგვისტოში, როცა „ქართული ოცნების“ ოთხმა დეპუტატმა 2 აგვისტოს მოძრაობა „ხალხის ძალა“ ჩამოაყალიბა. მოძრაობის მიზანი, მათი თქმით, საზოგადოების „სიმართლით აღჭურვა“ იყო. მათ პირველივე განცხადებებში ისაუბრეს „გარე ძალებსა“ და საქართველოს ომში ჩათრევის საფრთხეზე და აშშ-ს ელჩს საქართველოში მიმართეს შეკითხვებით, რომლებიც სასამართლო ხელისუფლებაზე გავლენის მოხდენას, ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში დაბრუნებას, ომში ჩართვასა და საამისოდ ბიძინა ივანიშვილის დაშანტაჟებას ეხებოდა.

არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ოპოზიციის დისკრედიტაცია

სექტემბრიდან ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გაჩნდა არასამთავრებო სექტორის დისკრედიტაციის შემცველი სიუჟეტები. არასამთავრებო სექტორს მოიხსენიებდნენ, როგორც „მდიდარი ენჯეოების კლანს“, რომელიც დონორი ორგანიზაციებისა და ნაციონალური მოძრაობის ინტერესებს ემსახურებოდა. ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში არასამთავრობო ორგანიზაციების არალეგიტიმურობაზე საუბრობენ ჟურნალისტები, ექსპერტები, პოლიტიკოსები. ძირითადი ნარატივი, რაც მათი მხრიდან ვრცელდებოდა, იყო ის, რომ თანხები არამიზნობრივად იხარჯება, არასამთავრობო სექტორი პოლიტიკაში მონაწილე არაფორმალური მოთამაშეა, ოპოზიციასთან ერთად დონორი ორგანიზაციების/დამფინანსებლების ინტერესებს ემსახურება, არჩევნების გაყალბების მცდელობით დესტაბილიზაციას, პოლიტიკური კრიზისის შექმნასა და ქვეყნის ომში ჩართვას ცდილობს. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ქვეყნის მოღალატეებად, ანტისახელმწიფოებრივი საქმის გამკეთებლებად, მტრებად, სარწმუნოებისა და ეროვნულობის წინაღმდეგ მოქმედ აქტორებად იყვნენ წარმოჩენილი, რომლებიც თავიანთი შავ-ბნელი საქმეებით, ცილისმწამებლური, ტყუილზე დაფუძნებული კამპანიებით საქართველოს ევროპასა და მთელ მსოფლიოში რეპუტაციას ულახავენ და საქმეს უფუჭებენ.

აშშ/ევროკავშირის კრიტიკა

არასამთავრობო ორგანიზაციების დისკრედიტაციის პარალელურად 2022 წლის შემოდგომაზე ხელისუფლების წარმომადგენლებმა კონკრეტული ევროპარლამენტარების, ამერიკელი სენატორებისა და ამერიკის ელჩის კრიტიკა დაიწყეს. ეს კრიტიკა და დისკრედიტაცია ვლინდებოდა

შემდეგ თემებზე საუბრისას: დეოლიგარქიზაციის კანონი, ევროკავშირის 12-პუნქტიანი რეზოლუცია და მიხეილ სააკაშვილისა და ნიკა გვარამიას გათავისუფლების მოთხოვნა. „ქართული ოცნების“ მაშინდელი თავმჯდომარისა და პარლამენტის წევრის, ირაკლი კობახიძის განცხადებების მიხედვით, ოპოზიცია არ უჭერდა მხარს დეოლიგარქიზაციის კანონს იმის გამო, რომ თავად სურდა, ოლიგარქებს (სააკაშვილი, კეზერაშვილი, წერეთელი) ძალაუფლება დაებრუნებინათ. ნიკა გვარამიასა და მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნა რადიკალიზმის მხარდაჭერას ნიშნავდა და ბიძინა ივანიშვილთან მებრძოლები მშვიდობას ებრძოდნენ. მან შემოიტანა ცნებები: „გლობალური ომის პარტია“ და „ადგილობრივი ომის პარტია“, რომელიც შემდგომ ხშირად გამოიყენებოდა.

ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან წამოსული გზავნილების თანახმად, სენატორები, ელჩები და ევროპარლამენტარები არასამთავრებო ორგანიზაციებთან და ნაციონალურ მოძრაობასთან შეთანხმებულად ქვეყანაში პოლარიზაციას აღვივებდნენ და სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა სურდათ. მთავრობას კი სიმშვიდე და სტაბილურობის შენარჩუნება უნდოდა. „ხალხის ძალაც“ მსგავს ნარატივს იმეორებდა. „ხალხის ძალის“ ლიდერები ახსენებდნენ აშშ-დან მიღებულ დაფინანსებას, რომელიც არა ქვეყანას, არამედ აგენტურას (არასამთავრობოები, ნაციონალური მოძრაობა) ხმარდებოდა, რომელიც სახელმწიფო გადატრიალების მომზადებაში იყო ჩართული. „ხალხის ძალის“ ლიდერების განცხადებებში ვხვდებოდით აშშ-ისა და ევროპელი ელჩების დისკრედიტაციას, საუბარს იმაზე, რომ ამერიკელი მაღალჩინოსნები, „ენჯეოები“, ადგილობრივი რადიკალები საქართველოში აღვირახსნილ კამპანიას აწარმოებენ. აშშ-ს მაშინდელი ელჩი კელი დეგნანი პოლიტიკურ მხარეს წარმოადგენს. ისინი მეგობრობის ნიღაბს არიან ამოფარებული, ქვეყნის შიდა პოლიტიკაში ერევიან და ქვეყნის ომში ჩართვა სურთ. „ხალხის ძალა“ საკუთარ წერილში აღნიშნავდა, რომ 2004-2012 წლებში მთავრობა გარე აგენტურით იყო დაკომპლექტებული და ყველა უბედურება (ადამიანების წამება, მედიის მონოპოლიზება, ბიზნესის რეკეტი, რუსეთისთვის ტერიტორიების ჩაბარება) არა მხოლოდ რეჟიმის უცხოელი პარტნიორების მდუმარე მხარდაჭერით, არამედ პირდაპირ მათი კარნახით ხდებოდა.

არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მათი დონორების დისკრედიტაცია ეკლესიისა და ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლის საფუძველზე

2023 წლის იანვარ-თებერვალში გრძელდებოდა არასამთავრობო ორგანიზაციების დისკრედიტაცია, რაშიც ასევე ჩართულები იყვნენ სასულიერო პირები და ისტორიკოსები. აქცენტი კეთდებოდა მდიდარი არასამთავრობოების არაეკლესიურობაზე, ირიბად ანიშნებდნენ, რომ ეკლესიის საქმიანობაში ჩარევა დონორების ინტერესებში შედის. კანონის ინიცირებამდე

რამდენიმე დღით ადრე „ხალხის ძალა“ ავრცელებდა განცხადებას, რომელიც მიანიშნებდა, რომ ევროკავშირში გაწევრიანება საქართველოს სტაბილურობის და ტრადიციული ღირებულებების (ნახსენებია ლგბტ პროპაგანდა) დაკარგვას ნიშნავდა. „...როდესაც ვხედავთ, როგორ გვახვევენ თავს ლგბტ პროპაგანდას და უპირისპირდებიან ტრადიციულ ფასეულობებს, როდესაც ვხედავთ, როგორ მტრობენ ევროკავშირიდან დაფინანსებული ქართული ენჯეოები ეკლესიას და სახელმწიფოს... ბუნებრივად იძენს აქტუალობას კითხვა, ხომ არ გადაკვეთა ევროკავშირმა ის ზღვარი, რომელიც მის ცივილიზაციურ ხიბლს პრინციპულად აქარწყლებს?“ (10 თებერვალი, 2023).

კანონის ინიცირება და ომში ჩართვის ნარატივი

2023 წლის 14 თებერვალს „ხალხის ძალამ“ დააანონსა კანონი უცხოური გავლენისა და მედია სივრცის შესახებ. უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონი საქართველოს პარლამენტში 20 თებერვალს დაინიცირდა. „ხალხის ძალის“ წარმომადგენლები ხაზს უსვამდნენ, რომ აშშ-ში და სხვა დემოკრატიულ ქვეყნებშიც მოქმედებს მსგავსი კანონები. მათი თქმით, ევროპარლამენტარები („ნაციონალური მოძრაობის“ პარტნიორები) ბიძინა ივანიშვილს მის კუთვნილ ფულს უბლოკავდნენ, რადგან მან მეორე ფრონტი არ გახსნა საქართველოში. ამბობდნენ, რომ არასამთავრებო ორგანიზაციები „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად ხალხს ხელისუფლების უკანონო შეცვლისკენ მოუწოდებენ და ამ კანონის მიღებით არასამთავრობო სექტორი ვეღარ შეძლებს შემოდინებული ფულით რევოლუციის მოხდენას. იყენებდნენ ფრაზას „უცხოეთიდან დაფინანსებული”, მაგრამ კონკრეტულად არ ახსენებდნენ დასავლეთს. ასევე აკრიტიკებდნენ ევროკავშირის რეზოლუციას და განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებდნენ პუნქტზე, რომელიც სააკაშვილის გათავისუფლებას ეხებოდა. კანონის მიზნად მხოლოდ გამჭვირვალობას მოიხსენიებდნენ. გარე აქტორების მიერ კანონის უარყოფით შეფასებას ზედაპირულად მიიჩნევდნენ. ამბობდნენ, რომ ეს კანონი არ შეუშლის ხელს ევროინტეგრაციას.

გამჭვირვალობა და დასავლეთის ორმაგი თამაში

2 მარტს, კანონის პირველი მოსმენის შემდეგ, ხელისუფლების პირები კიდევ ერთხელ გამჭვირვალობას უსვამდნენ ხაზს. ისინი ამბობდნენ, რომ ხალხმა უნდა იცოდეს, თუ რაში იხარჯება დონორების ფული. ერთ ჭრილში იყო განხილული დასავლეთიდან და რუსეთიდან მიღებული დაფინანსება. ამტკიცებდნენ, რომ არასამთავრებო სექტორის დაფინანსებით კეთდებოდა ენერგოდამოუკიდებლობის წინააღმდეგ კამპანიები. ირაკლი კობახიძე ხაზს უსვამდა ევროკავშირის მხრიდან ორმაგი წესებით თამაშს: არ შეიძლება აფინანსებდე რადიკალურ ორგანიზაციებს („დროა“, „სირცხვილია“) და თან დეპოლარიზაციას ითხოვდე. კობახიძე

ახსენებდა არასამთავრობო ორგანიზაციების სურვილს, ებრძოლათ ეკლესიის წინააღმდეგ და აცხადებდა, რომ ხალხს აქვს უფლება, იცოდეს, ვინ აფინანსებს ეკლესიის მაგინებლებს.

ანტიდასავლურ ნარატივზე ირიბად მიანიშნებდა მამუკა მდინარაძის განცხადებებიც, სადაც როგორც დასავლეთის, ასევე რუსეთიდან შემოსული გრანტების რეგულაციის საჭიროებაზე საუბრობდა. მისი განცხადებები გარკვეულწილად დამაბნეველი იყო, რადგან, ერთი მხრივ, ახსენებდა უცხოურ დაფინანსებას, პარტნიორი ქვეყნებიდან მიღებულ დაფინანსებას და იქვე განიხილავდა რუსულ ინტერესს. მისი განცხადების მიხედვით, უცხოური დაფინანსების მქონე არასამთავრობო ორგანიზაციები აწარმოებდნენ კამპანიას საპატრიარქოსა და პატრიარქის წინააღმდეგ, სურდათ ქართული ეკლესიისა და სახელმწიფოს ქაოსში გახვევა, რევოლუციის გაღვივება და ქვეყნის ომში ჩართვა. ამიტომ ეწინააღმდეგებოდნენ კანონს უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ.

„ხალხის ძალის“ ლიდერი სოზარ სუბარი აქცენტს აკეთებდა უსაფრთხოებაზე. კანონის მიღება უცხოეთიდან საფრთხის არიდების გზა იყო. მისი თქმით, კანონის მიღების შემდეგ არასამთავრობო სექტორი ვეღარ შეძლებდა უცხოეთიდან შემოსული ფულით ხალხის „ტვინების გამორეცხვას“ და რევოლუციის მოხდენას, როგორც ეს 2003 წელს მოხდა (ვარდების რევოლუცია).

კანონის წინააღმდეგ სახალხო პროტესტი და ანტიდასავლური რიტორიკის გაგრძელება

უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის განხილვას დიდი საპროტესტო ტალღა მოჰყვა, 7-9 მარტს აქციებმა კულმინაციას მიაღწია. ამის პარალელურად, გრძელდებოდა ანტიდასავლური რიტორიკა. „ქართული ოცნების“ და „ხალხის ძალის“ ლიდერები კვლავ აცხადებდნენ, რომ არასამთავრებო სექტორი და ოპოზიცია უცხოეთის აგენტები არიან. კვლავ ამახვილებდნენ ყურადღებას ეკლესიის გინებაზე, ლგბტ პროპაგანდაზე, რევოლუციაზე, არჩევნების გაყალბების მცდელობაზე და ენერგოდამოუკიდებლობის დასუსტებაზე. „სირცხვილიას“ და „დროას“ რუსეთის ინტერესების გამტარებლებად მოიხსენიებდნენ. „ხალხის ძალა“ ამბობდა, რომ აშშ-ს საქართველოში მეორე „მაიდანის” მოწყობა სურდა. საუბარი იყო მოლოტოვის კოქტეილებზე, შეირაღებაზე, კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებზე, ახალგაზრდების გამოყენებაზე, რომელიც დაფინანსებული იყო გარედან. „ფაქტია, რომ დიახ, აშშ-ს საელჩომ და ამ შემთხვევაში, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მწვანე შუქი აუნთო იმ პროცესებს, რომელიც, სამწუხაროდ, გუშინ ჩვენს სახელმწიფოში განვითარდა. ეჭვი ნამდვილად აღარ მეპარება იმ კანონსაწინააღმდეგო ქმედებების კვალდაკვალ, რომ მიზანი ერთია - მეორე „მაიდანი“ მოეწყოს საქართველოში“ (თამთა მეგრელიშვილი, „ხალხის ძალა“).

ამ პერიოდშივე გავრცელდა ფრაზა: „ღირსებით ევროპისკენ", რასაც სახელისუფლებო პირები აქტიურად იმეორებდნენ საკუთარ განცხადებებში. „ხალხის ძალის" წევრები და სახელისუფლებო პირები ხაზს უსვამდნენ, რომ არ გვინდა ცალ ფეხზე მდგომი, მონური დამოკიდებულება, ჩვენ გვინდა ღირსეულად ევროპაში შესვლა.

ახალგაზრდების დასაცავად ჩაგდებული კანონი და არასამთავრობოებისა და დასავლეთის კრიტიკის გაგრძელება

10 მარტს პარლამენტმა კანონი ჩააგდო. ამის შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებების ფოკუსი ახალგაზრდები, მათი უსაფრთხოება და ჯანმრთელობა იყო. თუმცა, მომდევნო დღიდან ისევ გაგრძელდა კანონის დადებით მხარეებსა და ამერიკულ კანონთან მსგავსებებზე ხაზგასმა. „ხალხის ძალის" განცხადების მიხედვით, კანონმა მიღების გარეშე გამოავლინა ქვეყნის აგენტები, ხელისუფლებამ კი კანონი ქვეყანაში არეულობის თავიდან ასარიდებლად და ახალგაზრდების დასაცავად ჩააგდო. კანონის „რუსულ კანონად" მოხსენიებას აცხადებდნენ ცრუ კამპანიად, რითაც უცხოელმა დონორებმა თავიდან აირიდეს გამჭვირვალობა. მათი განცხადებები წინააღმდეგობრივი იყო, რადგან ხანდახან კონკრეტულ პირებს ეწინააღმდეგებოდნენ და არა ევროკავშირს, თუმცა, ამავდროულად აკრიტიკებდნენ ევროკავშირის რეზოლუციას და ევროპულ ღირებულებებს.

აღნიშნულ პერიოდში იყენებდნენ სიტყვებს „ფაშიზმი" და „ბოლშევიზმი". ამბობდნენ, რომ აქციის მონაწილეები და კანონის მოწინააღმდეგეები ლიბერალური ფაშიზმისა და ბოლშევიზმისთვის დამახასიათებელ ტაქტიკას მისდევდნენ. „ხალხის ძალის" ერთ-ერთი ლიდერი დავით ქართველიშვილი ასევე ფაშიზმის, კუ-კლუქს კლანისა და BLM (Black Lives Matter) მოძრაობების მაგალითებით ცდილობდა დასავლეთის დისკრედიტაციას. ამ დროს პრემიერმინისტრი ანტიდასავლურის გარდა, ანტიუკრაინულ განცხადებებსაც აქვეყნებდა. დასავლეთს ადანაშაულებდა საქართველოს სუვერენიტეტის უპატივცემულობაში. ამბობდა, რომ კანონის რუსულად შერაცხვამ და ოკუპაციის მიმართ ხალხის მგრძნობიარობამ გამოიწვია არეულობა.

საინტერესო იყო ამ პერიოდში მაშინდელი პრემიერმინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის, განცხადებები, რაც ანტიდასავლური ნარატივის გარდა, ანტიუკრაინული ნარატივის მატარებელიც იყო: „ომში მყოფი ადამიანი როცა იცლის და აქ საქართველოში რამდენიმე ათასი ადამიანის გამართულ დესტრუქციულ აქციას ეხმაურება, ეს უკვე პირდაპირი მტკიცებულებაა, რომ ეს ადამიანი ჩართულია, მოტივირებულია, რომ აქაც რაღაც მოხდეს." მისი თქმით, მიმდინარე პროცესები გარე მტრული ძალების მხრიდან დესტაბილიზაციისა და ომის გადმოტანის მცდელობა იყო.

აშშ-ს მხრიდან ქართული სასამართლო სისტემის ხელში ჩაგდების სურვილი

2023 წლის 5 აპრილს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა სავიზო შეზღუდვა დაუწესა სამ მოქმედ და ერთ ყოფილ მოსამართლეს, ასევე მათი ოჯახის წევრებს. აპრილში ხელისუფლების პირებისა და „ხალხის ძალის“ განცხადებების მიხედვით, ქართველი მოსამართლეების აშშ-ს მხრიდან სანქცირება არაპარტნიორული ნაბიჯი იყო. ნახსენები იყო სასამართლო სისტემის „უკრაინიზაცია“. ამერიკელები ყოველდღიურად მუშაობდნენ სასამართლოში საკუთარი აგენტურის რეკრუტირებაზე. ისინი აქტიურად იყენებდნენ ისეთ პრივილეგიებს, როგორიცაა ამერიკაში ვიზიტების შეთავაზება, ტრენინგებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა, სხვადასხვა ანაზღაურებადი საქმიანობის შეთავაზება, რაც საქართველოს სუვერენიტეტს სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა. თუ საქართველო ვერ შეინარჩუნებდა სასამართლოს დამოუკიდებლობას, სრულად დაკარგავდა სუვერენიტეტს და დაუბრუნდებოდა 2004-2012 წლების „უმძიმეს წარსულს“, როდესაც სასამართლო სისტემა „სისხლიანი აგენტოკრატიის“ ერთ-ერთ უმთავრეს რეპრესიულ ინსტრუმენტად იყო ქცეული.

სანქციები რუსეთის წინააღმდეგ და გლობალური ომის პარტიის მიერ ქვეყნის ომში ჩართვის მცდელობა

15 მაისს რუსეთმა საქართველოსთან სავიზო რეჟიმი გააუქმა და ფრენებზე აკრძალვა მოხსნა. ამ პერიოდში ამ თემასთან ერთად აქტუალური გახდა რუსეთისთვის დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციები და საქართველოს მასთან მიერთების ან არმიერთების საკითხი. ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, რუსეთის მიმართ სანქციების დაწესებით ქვეყანა რუსეთთან ესკალაციაში შევიდოდა, რაც გარე აქტორების მთავარ ინტერესად სახელდებოდა. „...გლობალური თუ რეგიონული ომის პარტიის პრაქტიკულად გაცხადებულ მიზანს საქართველოს ომში ჩართვის შესახებ“, ასე ზოგადად მოიხსენიებდა მამუკა მდინარაძე გარე აქტორებს, კონკრეტულად კი „გლობალური ომის პარტიას“.

„ხალხის ძალის“ ლიდერი სოზარ სუბარი აშშ-ს ელჩს, ევროპარლამენტარებს და ევროკომისიას „დაუძინებელ მეგობრებს” უწოდებდა და ამბობდა, რომ ისინი ორმაგი სტანდარტით მოქმედებენ, თვითონ იყენებენ რუსეთის რესურსს და ჩვენ სანქციების დაწესებას გვთხოვენ, იცვამენ ეროვნულ სამოსს და ჩვენ ლგბტ პროპაგანდის მიღებისკენ მოგვიწოდებენ.

რევოლუციისთვის მზადება

ამასთან, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი საუბრობდა იმაზე, რომ უცხოური ფულით ფინანსდება ტრენინგები იარაღის ხმარების შესახებ და რევოლუციის განხილვები, რაც საბოლოოდ იმ მიზანს ემსახურება, რომ ხალხს აღარ ეუცხოვებოდეს იარაღის ხელში აღება და სროლა, ისევე, როგორც მოლოტოვის კოქტეილების სროლა. „უცხოურ ფულს ქართულ პოლიტიკაში არაფერი

ესაქმება და ამას ახლავე უნდა შეეშვას ყველა დონორი ორგანიზაცია, ვინც კი ამ საკითხშია ჩართული," - ამბობდა პაპუაშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ მოცემული კვლევა 2023 წლის ივნისამდე პერიოდს მოიცავდა, ამ პერიოდის შემდეგ კვლევაში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, რამაც გავლენა იქონია ხელისუფლების წარმომადგენლების რიტორიკაზე. 2023 წლის 14 დეკემბერს საქართველომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიიღო. 2024 წლის 3 აპრილს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, მამუკა მდინარაძემ, „უცხოელი აგენტების" შესახებ კანონის ხელახლა ინიცირების შესახებ გამოაცხადა. მისი თქმით, კანონის შინაარსი იგივე იყო. კანონპროექტის ამ ვერსიაში „უცხოური გავლენის აგენტი" ჩანაცვლებული იყო ტერმინით „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია". მიუხედავად ხანგრძლივი და მასობრივი საპროტესტო ტალღისა და ევროპელი და ამერიკელი პარტნიორების მოწოდებებისა თუ კრიტიკისა, კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ პარლამენტმა 14 მაისს მესამე მოსმენით მიიღო, შემდეგ კი პრეზიდენტის ვეტოც დაძლია.

ფაზა 1: უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონზე საუბრის დაწყებამდე პერიოდი (2022 წლის ივნისი-ოქტომბერი)

კვლევის პირველ ფაზაში, რაც 2022 წლის ივნისიდან ოქტომბრის ბოლომდე პერიოდს მოიცავს, განსაკუთრებით ზაფხულის განმავლობაში, ანტიდასავლური რიტორიკა შედარებით უფრო შეფარული იყო. მთავარი აქცენტი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ოპოზიციის დისკრედიტაციაზე კეთდებოდა და დასავლური ორგანიზაციები თუ ქვეყნები მხოლოდ ირიბად იყო ნახსენები, როგორც მათი დამფინანსებელი. ამას მოწმობს ამ პერიოდის ყველაზე გავრცელებული ნარატივებიც, რომლებიც ეხებოდა იმას, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ოპოზიციასთან ერთად დესტაბილიზაციას, პოლიტიკური კრიზისის შექმნას, ხელისუფლების შეცვლას და პოლიტიკური პროცესის ქუჩაში გადატანას ცდილობენ; და რომ მდიდარი ენჯეოების კლანი დონორი ორგანიზაციებისგან მილიონებს იღებენ და მათ ინტერესებს ემსახურებიან.

არასამთავრობო ორგანიზაციებიდან სამი განსაკუთრებით გახდა დისკრედიტაციის ობიექტი: „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, „სამართლიანი არჩევნები“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“. გარდა იმ გავრცელებული ნარატივებისა, რაც ამ პერიოდში ყველაზე ხშირი იყო, გარკვეულწილად კეთდებოდა მითითება იმაზე, რომ ისინი ქართულ ღირებულებებს და ეკლესიას ებრძვიან, და ზოგადად დამფინანსებლების ნებისმიერი დაკვეთის შესრულებას თანხმდებიან.

ამავე ფაზაში ხშირი იყო არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ოპოზიციის, კონკრეტულად კი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დაკავშირება და ერთმანეთთან გაიგივება, რაც უმეტესად ირაკლი კობახიძის განცხადებებს ეფუძნებოდა.

პირველი ფაზის მეორე ნახევარში, აგვისტოდან მოყოლებული, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დაფუძნდა მოძრაობა „ხალხის ძალა“, ანტიდასავლური რიტორიკა უფრო კონკრეტული გახდა და ცალკეული აქტორების მისამართით განვითარდა. კრიტიკის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი გახდა, რომელსაც „ორიენტაცია დაკარგულს“, „ურჩხულსა“ და „მონსტრს“ უწოდებდნენ. გაჩნდა „გლობალური თამაშის“ ცნება, ხოლო „ხალხის ძალამ“ უფრო ღიად დაიწყო საუბარი დასავლეთის ნამდვილ მიზანზე, საქართველოს ომში ჩართვასა და მეორე ფრონტის გახსნაზე.

პირველ ფაზაში პოსტის ავტორები ხშირად საინფორმაციო მედია საშუალებები იყვნენ: „ტვ იმედი“, მედია ჰოლდინგი „კვირა“, „ინტერპრესნიუსი“, „პოს ტვ“, Ongo.ge, „ჯორჯიან თაიმსი“. შინაარსობრივად არასამთავრობოებისა და ოპოზიციის დისკრედიტაცია ხშირად ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენლისა და „ხალხის ძალის“ წევრების განცხადებებს ეფუძნებოდა. თუმცა, მისი გამავრცელებლები იყვნენ კონკრეტული პირები, მაგალითად, გია აბაშიძე, ნიკოლოზ მჟავანაძე, ასევე უცნობი პირები, რომელთა შორის საშუალო და უფროსი ასაკის ქალები ჭარბობდნენ და ზოგის შემთხვევაში რთული იყო პროფილის სინამდვილის იდენტიფიცირება. ხშირად ანტიდასავლური ნარატივის გამავრცელებელი პოსტები საჯარო ჯგუფებში იყო გაზიარებული. მათგან უმეტესობა პროსახელისუფლებო და კონსერვატიული მოძრაობის მხარდამჭერი ჯგუფები იყო.

კვლევის პირველ ფაზაში, რომელიც 2022 წლის ივნისიდან ოქტომბრის ბოლომდე გრძელდება, ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებებიდან რამდენიმე ძირითადი ნარატივი გამოიკვეთა. საუბარი იყო „მდიდარი ენჯეოების კლანზე“, რომელიც უცხოური ორგანიზაციებისგან მილიონობით თანხას იღებს და მათ ინტერესებს ემსახურება. არასამთავრობო ორგანიზაციებს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ კავშირში მოიხსენიებდნენ და ამბობდნენ, რომ არასამთავრობოები ოპოზიციასთან ერთად დესტაბილიზაციას, პოლიტიკური კრიზისის შექმნასა და ხელისუფლების შეცვლას/სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას ცდილობენ. ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ოპოზიციას ერთობლივად ქვეყნის მოღალატეებს, სარწმუნოებისა და ეროვნულობის წინააღმდეგ მოქმედ სუბიექტებად წარმოაჩენდნენ, რომლებიც საქართველოს რეპუტაციას ულახავენ. ასევე, მნიშვნელოვანი იყო ნარატივი იმის შესახებ, რომ უცხოელი დონორები ძალადობრივ რეჟიმს აფინანსებენ და სამივე ერთად (არასამთავრობო ორგანიზაციები, ოპოზიცია და უცხოელი აქტორები) ქვეყნის ომში ჩათრევას, საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნას ცდილობენ.

ამ პერიოდის „ფეისბუქ“ პოსტებში ყველაზე ხშირად განხილული ნარატივების ხუთეული შემდეგია (იხ. დიაგრამა 1). გამორჩეულად ხშირად პოსტებში საუბარია იმაზე, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ოპოზიციასთან ერთად ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის შექმნას და ხელისუფლების გადატრიალებას ცდილობენ.

დიაგრამა 1: პირველ ფაზაში ყველაზე ხშირად გავრცელებული ნარატივების ტოპ ხუთეული



უშუალოდ „ფეისბუქ“ პოსტების ანალიზი აჩვენებს, რომ კვლევის ფარგლებში მოქცეული ერთწლიანი პერიოდის დასაწყისი, პირველი ფაზა, რომელიც 2022 წლის ივნისიდან ოქტომბრამდე პერიოდს მოიცავს, ხასიათდება შედარებით უფრო შეფარული და არაპირდაპირი ანტიდასავლური ნარატივით, რომელიც უმეტესად ოპოზიციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების კრიტიკასა და დისკრედიტაციას ახდენს და მხოლოდ გაკვრით ახსენებს მათ დამფინანსებლებს, დასავლეთის წარმომადგენელ ორგანიზაციებსა და ქვეყნებს. ამ ფაზაში თითქოს იწყება ნიადაგის მომზადება ანტიდასავლური განწყობების დასანერგად, რაც პირველივე ფაზის ბოლო ნაწილში უფრო მძაფრდება და კონკრეტული უცხოელი აქტორების, როგორიცაა, მაგალითად, აშშ-ს ელჩი საქართველოში, კრიტიკა და დისკრედიტაცია უფრო მწვავე ხდება.

საინტერესოა, რომ ანტიდასავლური ნარატივი სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციების დისკრედიტირების საფუძველზე და პარალელურად მიმდინარეობს. სამოქალაქო სექტორი საზოგადოებაში მაღალი ნდობით არ სარგებლობს. არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ ნდობა საქართველოს მოსახლეობაში მეხუთედზე ოდნავ მეტია (22%) და ბოლო ათი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. 2024 წლის მონაცემებით, მათ მიმართ ნდობა დიდად არ განსხვავდება საქართველოს ისეთი სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობისგან, როგორიცაა პარლამენტი (22%) ან სასამართლო სისტემა (23%). თუმცა, საგულისხმოა, რომ 2024 წელს არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ უნდობლობა გაზრდილია, 32%-ს შეადგენს, და ბოლო 15 წლის განმავლობაში პირველადაა ასე მაღალი.

დიაგრამა 2: არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ მოსახლეობის ნდობა, „კავკასიის ბარომეტრი“ 2024



პირველ რიგში, ხდება არასამთავრობო ორგანიზაციების ლეგიტიმაციის საკითხის ეჭვქვეშ დაყენება და ისინი წარმოჩინდებიან, როგორც ორგანიზაციები, რომლებიც არა ადგილობრივი მოსახლეობისგან, არამედ უცხოეთიდან იღებენ ლეგიტიმაციას. ასევე, ხაზი ესმება თავად ორგანიზაციების ჩაკეტილ და არადემოკრატიულ სტრუქტურას. პარალელურად, არასამთავრობო ორგანიზაციების სიმდიდრესა და ელიტურობას ესმება ხაზი, რაც ქვეყანაში არსებული სიღარიბისა და მაღალი უთანასწორობის ფონზე მათ ხალხისგან გარიყულად წარმოაჩენს.

კრიტიკისა და თავდასხმის ძირითად ობიექტს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია წარმოადგენს: „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, „სამართლიანი არჩევნები“ და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია). მათ ადანაშაულებენ გაუმჭვირვალობაში, რომ იღებენ მილიონობით დოლარს, თუმცა, არავინ იცის, რაში ხარჯავენ და ეს ეჭვს ბადებს, რომ თანხები ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის შექმნას, დესტაბილიზაციასა და რევოლუციური სცენარის განხორციელებას ხმარდება. გავრცელებული ნარატივების თანახმად, ისინი დეზინფორმაციას ავრცელებენ, საქართველოს საზღვარგარეთ იმიჯს ულახავენ და სურთ სასამართლო ხელისუფლებაზე გავლენის მოპოვება იმისთვის, რომ გაათავისუფლონ მიხეილ სააკაშვილი და ნიკა გვარამია. გარდა ამისა, ისინი ებრძვიან ქართულ ღირებულებებსა და ეკლესიას, და, ზოგადად, ფულისა და კეთილდღეობის სანაცვლოდ, მზად არიან, დამფინანსებლების ნებისმიერი დაკვეთა შეასრულონ.

ამ ნარატივების პარალელურად არასამთავრობო სექტორსა და სამოქალაქო მოძრაობებს ნაციონალურ მოძრაობას უკავშირებენ და მასთან აიგივებენ, ხოლო „ქართული ოცნების“ პოზიციები სახელმწიფო ინტერესებთანაა გათანაბრებული. პოსტები, რომლებიც „ტვ იმედისა“ და „პოს ტვ-ს“ ინფორმაციას ავრცელებს, ხშირად ეყრდნობა ირაკლი კობახიძის განცხადებებს, რომლის თანახმადაც, „წაიშალა ზღვარი ნაციონალურ მოძრაობასა და საქართველოში მოქმედ ყველაზე მდიდარ ენჯეოებს შორის“. ნაციონალურ მოძრაობასთან არასამთავრობო ორგანიზაციების კავშირების ხაზგასმის პარალელურად ზოგ ვიდეოში ვხვდებით ნაციონალური მოძრაობის დროს დარბეული მიტინგების კადრებს, რაც კიდევ უფრო ამძიმებს სურათს და დისკრედიტაციას უწევს როგორც ნაციონალურ მოძრაობას, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებს.

არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად თავდასხმის ობიექტია მაშინდელი სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია, ოპოზიციური სპექტრიდან კი - ნაციონალური მოძრაობა და რუსული ფულით დაფინანსების ნარატივის ფარგლებში ელენე ხოშტარია და „დროა“. ზოგჯერ ვხვდებით ისეთ ინტერპრეტაციასაც, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები და ოპოზიცია „ამერიკის ფულით რუსეთის (ეფესბეს) საქმეს აკეთებს“ და, პროევროპულობას ამოფარებული, ცდილობს პოლიტიკური ქაოსის შექმნას და ქვეყნის რეპუტაციის შელახვას.

ამ ფაზისთვის დამახასიათებელია სამოქალაქო სექტორის მოხსენიება შემდეგი სიტყვებით: „ბობოლა არასამთავრობოები“, „მდიდარი ენჯეოების კლანი“, „მონოპოლისტი ენჯეოები“, „რადიკალური ოპოზიცია“, „უცხოური გავლენის აგენტები“, „ომის პარტია“, „ნომენკლატურული ნაცები“, „ნულოვანი სახალხო ლეგიტიმაციის მქონე ენჯეოები“, „ენჯეოები - ამერიკული აგენტურა“, „დეიდა კელი“, „კაპიტანი გიგაური“. ზოგ პოსტში, რომელიც ვიდეოს წარმოადგენს, არასამთავრობო ორგანიზაციების ფულისმოყვარეობის გასამძაფრებლად დოლარის კუპიურებია დატანილი.

ამას მოჰყვება ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან „დიდი გლობალური თამაშის“ ხსენება, რომლის შესახებ დეტალურად საუბრისგან „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები თავს იკავებენ. თუმცა, „ქართული ოცნებისგან“ გამოყოფილი ჯგუფი „ხალხის ძალა“ უფრო ღიად იწყებს ლაპარაკს ამის შესახებ და დასავლეთის „ნამდვილ მიზანს ხდის ფარდას“ - ეს არის საქართველოში ომი და მეორე ფრონტის გახსნა. მათი მთავარი ნარატივი ასეთია: დასავლეთი, როგორც ადრე, ასევე ახლაც, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, მის „ძალადობრივ რეჟიმს“ აფინანსებს და სურს ხელისუფლების ძალადობრივ-რევოლუციური გზით შეცვლა იმისთვის, რომ საქართველო ომში ჩაითრიოს. გლობალური, „დიდი თამაშის“ კონტექსტში შიგადაშიგ ჯორჯ სოროსის სახელიც ნახსენებია.

დასავლეთის მიერ საქართველოს ომში ჩაბმის ნარატივს ფონად გასდევს მაშინდელი პრემიერმინისტრი ღარიბაშვილისა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების საუბარი მშვიდობის თემაზე, რომ ქვეყანა ყველაფერს აკეთებს მშვიდობის შესანარჩუნებლად და არასამთავრობოებს და რადიკალებს უფლებას არ აძლევს, ქვეყანაში მეორე ფრონტი გახსნან. ეს ირიბად დასავლეთის, აშშ-სა და სხვა პარტნიორი ქვეყნების კრიტიკაცაა, რადგან მათ სწორედ ამ ზეწოლაში სდებენ ბრალს. ამ კონტექსტში ისმის ფრაზები: „ამერიკული აგენტურა“, „გლობალური ამერიკული სცენარი“, „რადიკალური ომის პარტია“, „დასავლეთი ზნეობისგან დაცლილ ნაცებს ლობირებს“, „საბჭოთა კავშირი ამ კავშირთან შედარებით ფაქიზ გრძნობათა ორგანიზაცია იყო“.

> *„ქართული ოცნების თავმჯდომარემ ევროპის სახალხო პარტიას კრიმინალების დაჯგუფება უწოდა და სრულიად სამართლიანადაც. ამ წუპაკების პარტიას მიხეილის მმართველობის პერიოდში საქართველოდან ლობიზმის მომიზეზებით კაი ფული მიჰქონდა, ეგ საქმე გიგა ბოკერიას ებარა. 2012 წლის შემოდგომიდან „დარმავოი“ დაფინანსება შეუწყდათ და დაიწყეს კიდევაც მას შემდეგ წკავწკავი, მიყრუებული სოფლის ბოლოს მშიერმა ძაღლებმა რომ იციან ხოლმე... წაესივნენ ძაღლები ბიძინა ივანიშვილს, უნდა „დავასანქციროთო“,*

საქართველოში დემოკრატიულ წყობილებას ხელს უშლისო. კუბილიუსს აქვს ნათქვამი, ჩვენ ამ შემთხვევაში ქართველ ხალხზე ვზრუნავთო. გაიგონეთ? კუბილიუსი და მარკეტა ზრუნავენ ქართველ ხალხზე, ბიძინა ივანიშვილი არ ზრუნავს, პირიქით, ის საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ წყობილებას, არა და არ ხსნის მეორე ფრონტს. ეგ თუ პატიოსანი კაცია, რუსეთს ომს რატომ არ უცხადებს?" („საერთო გაზეთი", 21 ივლისი 2022)

პირველი ფაზის მეორე ნახევარში ანტიდასავლური ნარატივების კიდევ ერთ გამოკვეთილ სამიზნედ აშშ და აშშ-ს ელჩი საქართველოში, კელი დეგნანი იქცევა. მას განსაკუთრებით „ხალხის ძალის" წარმომადგენლები აკრიტიკებენ და ოპოზიციასთან კოალიციით საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლების ჩამოგდებას და, ასევე, საქართველოს ომში ჩართვის მცდელობებს აბრალებენ. კელი დეგნანი მოხსენიებულია, როგორც „ორიენტაცია დაკარგული" ამერიკის ელჩი საქართველოში, რომელიც ღიად არღვევს საქართველოს კონსტიტუციას და ერევა სასამართლო გადაწყვეტილებებში, მიკერძოებულია რადიკალური ოპოზიციის მიმართ და, არასამთავრობოების მეშვეობით, საარჩევნო პროცესებში ერევა. მის მიმართ როგორც „ფეისბუქ" პოსტებში, ისე კომენტარებში ისმის შემდეგი ფრაზები: „ურჩხული", „მონსტრი", „უზურპატორი", „ქვეყნიდან გასაძევებელი". ეჭვქვეშ აყენებენ აშშ-ს მიერ საქართველოსთვის გაწეულ დახმარებასაც და აშშ-ს ბრალს სდებენ იმაში, რომ ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს ყველანაირ კანონდარღვევაზე თვალს ხუჭავდნენ, რადგან ის მთავრობა მთლიანად მათი ინტერესების გამტარებელი იყო. აშშ-ს კრიტიკის კონტექსტში ვხვდებით ისეთ ნარატივსაც, რომ ამერიკას 30 წელია, დაპყრობილი ჰყავს საქართველო და ახლა ამ უღელის გადაგდების დრო მოვიდა.

პოსტის ავტორები ხშირად საინფორმაციო მედია საშუალებები იყვნენ: „ტვ იმედი", მედია ჰოლდინგი „კვირა", „ინტერპრესნიუსი", „პოს ტვ"; ასევე, გია აბაშიძე, ნიკოლოზ მჟავანაძე. „ფეისბუქზე" ამ ნარატივების გავრცელება იშვიათად ხდება რაიმე თავდაპირველი საინფორმაციო წყაროზე დაყრდნობით. თუკი კეთდება მითითება, ეს არის საინფორმაციო/მედია გვერდები („იმედი", „პოს ტვ", Ongo.ge, „ჯორჯიან თაიმსი"). უმეტესად ამ საკითხებზე უცნობი პირები საუბრობენ და სხვადასხვა ჯგუფში აზიარებენ „ხალხის ძალისა" თუ მმართველი პარტიის წარმომადგენელთა ნარატივებს. უცნობ პირთა შორის ხშირად იყვნენ საშუალო და უფროსი ასაკის ქალები, რომელთა პროფილის სინამდვილის იდენტიფიცირება რთულია. უცნობ პირთა შორის ასევე იყვნენ „Taso Xunturi" და „Qeta Saakadze", რომლებიც ბევრ სხვადასხვა ჯგუფში აზიარებდნენ ერთსა და იმავე ანტიდასავლურ ნარატივს და ოპოზიციისა და არასამთავრობო სექტორის დისკრედიტაციას ახდენდნენ. ამ ორი კერძო პროფილის საერთო მახასიათებელია ის, რომ მათ შესახებ ინფორმაცია შევსებულია, ფოტოებიც უდევთ. ძნელია იმის თქმა, რამდენად ეკუთვნის ეს ფოტოები ამ პროფილის ნამდვილ ავტორს. თუმცა, ფოტოები მიმზიდველი და

სექსუალურია და, სავარაუდოდ, ამით იქცევს სოციალური ქსელის კაცი მომხმარებლების ყურადღებას, რომლებიც მრავლად ჰყავთ მეგობრებში, და მათში სასურველ ნარატივს ავრცელებს. თუმცა, ანტიდასავლური ნარატივების გამავრცელებელთა შორის იყვნენ ისეთი პროფილებიც, რომლებიც არანამდვილობის ეჭვს აჩენდნენ, რადგან ძალიან ცოტა ფოტო და მეგობარი ჰყავდათ (მაგალითად, Kotik Gigin, Marina Ganiashvili, Alexandre Lomtadze, Gela Gurgenidze).

პირველი ფაზის დროს ნაკლებად ვხვდებით ფოტო-ვიდეო მანიპულაციებს. თუმცა, აღნიშვნის ღირსია გვერდი „სინამდვილეში“, რომელიც ფაქტების შემმოწმებელი გვერდების ანალოგია, თუმცა, პირდაპირ მიმართულია ოპოზიციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების კრიტიკისა და დისკრედიტაციისკენ. მათი სტილია შავ-თეთრი ფოტოს დადება, რომელზეც ოპოზიციის ან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები არიან გამოსახული და ზედ წითელ შტამპად არტყია შემდეგი სახის ფრაზები: ანტიქართული პროპაგანდა, პარტიული NGO, ყალბი ნარატივი, დეზინფორმაცია და ა.შ.

პოსტები, რომლებიც ანტიდასავლურ ნარატივებს ავითარებდნენ, ხშირად საჯარო ჯგუფებში იყო წარმოდგენილი. ეს იყო უმეტესად პროსახელისუფლებო და კონსერვატიული მოძრაობის მხარდამჭერი ჯგუფები, მაგალითად: „ბიძინა ივანიშვილი - დადებითი და უარყოფითი“, „ბიძინა ივანიშვილის მეგობრები ფეისბუქზე“, „კორონა მაფია“, „კონსერვატიული მოძრაობა - მესტია“, „ბიძინა ივანიშვილი და მომავალი თაობა #official”.

პოსტების კომენტარებში ძირითადად იზიარებდნენ პოსტის ნარატივს, რაც გასაკვირი არ იყო, რადგან ეს პოსტები უმეტესად ხელისუფლების მხარდამჭერ ჯგუფებში ვრცელდებოდა. თუმცა, კომენტარებში ნაკლებად იმართებოდა საგნობრივი დისკუსია. ენა, რომელსაც კომენტარის ავტორები იყენებენ, საკვანძო სიტყვები, ზოგჯერ ძალიან ჰგავს ერთმანეთს, როგორც თავად ტექსტი, ასევე, მათი რადიკალურობის ხარისხი და აჩენს ეჭვს, რომ ორგანიზებული ჯგუფის ნაწილს წარმოადგენენ.

ფაზა 2: 2022 წლის ნოემბრიდან კანონის ინიცირებამდე, 2023 წლის თებერვლის შუამდე პერიოდი

2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის თებერვლამდე პერიოდში გააქტიურდა არასამთავრობო სექტორის დისკრედიტაცია და დასავლეთის წარმოჩენა კრიმინალების მფარველ ძალად. წინა ფაზაში დაწყებული საუბარი იმაზე, რომ ადგილობრივი ორგანიზაციები დასავლეთის დაფინანსებით ქართულ ღირებულებებსა და ეკლესიას ებრძვიან, ამ ფაზაში განსაკუთრებით გახშირდა იმ კუთხით, რომ ევროკავშირში გაწევრიანება ხალხისთვის თავისუფლების დაკარგვას და ტრადიციული ფასეულობებისგან დაცლილი აგენტოკრატიის დამყარებას ნიშნავდა. დასავლეთი საკუთარი ფასეულობების ძალით თავს მოხვევას ცდილობდა და ამ ფასეულობებს შორის სახელდებოდა ერთნაირ სქესიანთა ქორწინება და ლგბტ აღლუმები, რაც ეკლესიასა და სახელმწიფოს ეწინააღმდეგებოდა და მორალურ კრიზისში მყოფი ევროპა საქართველოსთვის მიმზიდველი აღარ იყო. 14 დეკემბერს ევროკავშირმა საქართველოს კანდიდატის სტატუსი მიანიჭა. თუმცა, ანტიდასავლური რიტორიკის ნაწილი იყო ის, რომ სტატუსი აუცილებლად გაწევრიანებას არ ნიშნავდა.

აგენტოკრატია და აგენტები ამ პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე საკვანძო ტერმინები იყო და იყენებდნენ იმის საჩვენებლად, რომ დასავლეთს, კონკრეტულად კი აშშ-ს, საქართველოს ხელისუფლებაში საკუთარი აგენტების მოყვანა სურდა. აქვე პარალელს ავლებდნენ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებასთან, რომელიც დასავლეთის მორჩილი იყო და ქვეყანას ომი დაატეხა თავს; და უკრაინის ხელისუფლებასთან, რომელიც იმავე მიზეზით ომშია გახვეული. შესაბამისად ამ პერიოდში კვლავ აქტუალური იყო საქართველოს ომში ჩართვის ნარატივი. მეორე ფაზაში გახშირდა „ომის პარტიისა“ და „გლობალური ომის პარტიის“ ხსენებაც, რაშიც ხან ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ხანაც ზეპარტიული გლობალური გაერთიანება იგულისხმებოდა. რადიკალური ომის პარტიის დამფინანსებლად ხშირად აშშ მოიაზრებოდა. ზოგჯერ ეს „გარე ძალები“ აშშ-სა და ევროკავშირის მმართველ ძალად იყო წარმოდგენილი.

თუკი მონიტორინგის პირველ ფაზაში უცხოელი აქტორებიდან ანტიდასავლური ნარატივის ძირითადი ობიექტი აშშ და საქართველოში აშშ-ს ელჩი იყვნენ, ოქტომბრის შემდეგ გაძლიერდა უარყოფითი ტალღა ევროპარლამენტარების მიმართ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ევროკომისიამ საქართველოს 12-პუნქტიანი რეკომენდაცია მისცა. კონკრეტულ ევროპარლამენტარებს აგენტობაში, რადიკალურ ოპოზიციასთან მეგობრობაში და ბიძინა ივანიშვილის უსამართლო დევნაში ადანაშაულებდნენ.

ანტიდასავლური ნარატივების შემცველი პოსტები ხშირად „ხალხის ძალის“ განცხადებებს ეფუძნებოდა. მისი მთავარი გამავრცელებლები კი იყვნენ ან მედია საშუალებები, ან პოლიტიკოსების ოფიციალური გვერდები, ან კიდევ კერძო პროფილები, რომლებიც არანამდვილის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. მედია საშუალებებიდან მკვეთრად ანტიდასავლური და კრიტიკული „პოს ტვ“-სა და მისი გვერდების პოსტები იყო, „იმედის“ პოსტები შედარებით უფრო მოზომილი. კერძო პირებიდან ამ პერიოდში განსაკუთრებით აქტიურობდნენ მმართველი პარტიის წევრი ვლადიმერ ბოჟაძე, „ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი ვატო შაქარაშვილი, ასევე ზაზა შათირიშვილი. ეს უკანასკნელი ვრცელ ანალიტიკურ ტექსტებს აზიარებდა, სადაც დასავლეთის უარყოფით მხარეებს უსვამდა ხაზს და მის პოსტებს ხშირად აზიარებდნენ როგორც მედია საშუალებები, ასევე კერძო პროფილები. ანტიდასავლური ნარატივების გავრცელების ერთ-ერთი მთავარი სივრცე ღია ჯგუფები იყო.

მეორე ფაზაში, რომელიც 2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის თებერვლამდე, ანუ, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის“ ინიცირებამდე გრძელდება, ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებებში ჩნდება ნარატივები, რომლებიც, ერთი მხრივ, ზოგადად დასავლეთს წარმოაჩენს, როგორც კორუმპირებულ და კრიმინალების მფარველ ძალას თუ ჯგუფს, მეორე მხრივ კი, კონკრეტული დასავლელი პოლიტიკოსებისა თუ ორგანიზაციების დისკრედიტაციას ახდენს. ასევე, ღიად მიანიშნებს იმაზე, რომ დასავლელი პოლიტიკოსები და ორგანიზაციები ბიძინა ივანიშვილს ებრძვიან, რაც ქვეყანაში მშვიდობისა და სტაბილურობისთვის ბრძოლას უტოლდება. ხელისუფლების წარმომადგენლები ხაზს უსვამენ იმას, რომ სანქციების შემოტანით დასავლეთი ქართველ ხალხს დამოუკიდებლობას ართმევს და დასავლეთის ბრძანებების დამორჩილებას სთხოვს, და ასევე ევროკავშირში გაწევრიანება ხალხისთვის თავისუფლების დაკარგვას და ტრადიციული ღირებულებებისა და ფასეულობებისგან დაცლილი აგენტოკრატიის დამყარებას ნიშნავს. ტრადიციული ფასეულობების წინააღმდეგ დასავლეთი (ევროპარლამენტი, ევროკავშირი, აშშ) იმ მხრივაც იბრძვის, რომ ლგბტ პროპაგანდას ეწევა და უპირისპირდება როგორც ეკლესიას, ასევე სახელმწიფოს.

დიაგრამა 3: მეორე ფაზაში ყველაზე ხშირად გავრცელებული ნარატივების ტოპ ხუთეული



უშუალოდ „ფეისბუქ“ პოსტებში, მეორე ფაზაში ძირითადი ადგილი კვლავ არასამთავრობოებისა და ოპოზიციის მიერ დესტაბილიზაციისა და პოლიტიკური კრიზისის, ასევე, ქვეყნის ომში ჩართვის ნარატივებს უჭირავს. გარკვეულწილად ეს ნარატივები ერთმანეთს ფარავს და ავსებს. ამ რიტორიკას ზოგჯერ მოჰყვებოდა გაგრძელება, რომ არასამთავრობოებსა და ოპოზიციას არ სურს სტაბილურობა, მათი „პატრონების“, იგივე დასავლეთის, სურვილის შესაბამისად. ამ ფაზაში განსაკუთრებით ხშირადაა ნახსენები „სამართლიანი არჩევნები“, როგორც არჩევნების გამყალბებელი არასამთავრობო ორგანიზაცია.

მეორე ფაზაში ნარატივები უმეტესად ანტიამერიკული იყო, ლოკალურ ჭრილში - აშშ-ს საელჩოს წინააღმდეგ მიმართული. ამერიკის მიმართ გამოთქმული კრიტიკა და ბრალდებები მის მიერ ქვეყნის ომში ჩართვას, საქართველოს გაერთიანებისა და ეკონომიკური სტაბილურობისთვის ხელის შეშლას, უკრაინის დანგრევას და მისი მართული „აგენტოკრატიის“, იგივე ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში დაბრუნებას ეხებოდა. ამერიკას ასევე ადანაშაულებდნენ ქრისტიანობისა და ეროვნულობის წინააღმდეგ ბრძოლაში. იყო პოსტები, რომლებიც ამტკიცებდა, რომ ამერიკა მხარს უჭერს ყველაფრის, მათ შორის „მამაო ჩვენოს“ გენდერულად ნეიტრალურ ფორმულირებას და ზოგადად ადამიანებისა და საზოგადოების იდენტობის წაშლა სურს.

ზოგადად, მეორე ფაზის ნარატივებში ერთ-ერთი მთავარი საკვანძო სიტყვა „აგენტები“ და „აგენტოკრატია“ იყო, უმეტესად იმ შინაარსით, რომ დასავლეთს და კონკრეტულად აშშ-ს სურს, საქართველოში საკუთარი აგენტები მოიყვანოს ხელისუფლებაში. დასავლეთი აფინანსებს არასამთავრობო ორგანიზაციებს, იგივე საკუთარ აგენტებს, რაც ნიშნავს, რომ ეს ფული არა საქართველოს, არამედ მათ აგენტურას ხმარდება. კეთდებოდა მითითება იმაზე, რომ ასეთი მმართველობა იყო მიხეილ სააკაშვილის დროს და ომით დასრულდა, ასეთი მმართველობაა ახლა უკრაინაში და იქაც ომია. იშვიათად იმასაც ახსენებდნენ, რომ ევროკავშირშიც აგენტოკრატიაა და მასაც მართავს აშშ. მეორდებოდა ნარატივი, რომ აგენტობა მონობას ნიშნავს, აგენტები დასავლეთის მონები არიან და მონისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, ასიამოვნოს პატრონს; მას არც სამშობლო აინტერესებს და არც ღირებულებები. ამასთან კავშირში იყენებდნენ ფრაზას „უსამშობლო ადამიანები“.

ამასთან ერთად, ხშირად გამოყენებული იყო სიტყვა „რადიკალები“, „რადიკალური ოპოზიცია“, „რადიკალური ძალები“. ამაში იგულისხმებოდა ოპოზიცია, ნაციონალური მოძრაობა, ოპოზიციური მედიები და არასამთავრობო ორგანიზაციები. ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციის ხსენებას უმეტესად თან ახლდა სიტყვა „რადიკალური“. ასევე, არაერთხელ იყო გამოყენებული სიტყვები „ომის პარტია“, „გლობალური ომის პარტია“. კონტექსტიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, აქ ხან ნაციონალური მოძრაობა იგულისხმებოდა, ხანაც ზეპარტიული გლობალური გაერთიანება.

ზოგჯერ, ასეთი „გარე ძალების“ მიერ მართულ ქვეყნებად/გაერთიანებებად იყო წარმოდგენილი როგორც თავად აშშ, ასევე ევროკავშირი.

რადიკალური ოპოზიციის ცენტრად ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მოიაზრებოდა, დანარჩენი პარტიები, ტელევიზიები თუ არასამთავრობო ორგანიზაციები - მის სატელიტებად. როცა საუბარი იყო „რადიკალური ომის პარტიაზე“, კეთდებოდა მითითება, რომ ის აშშ-დან იმართებოდა და დამფინანსებელიც ხშირად აშშ იყო. დაფინანსების კონტექსტში ზოგჯერ ნახსენები იყო დავით კეზერაშვილიც, როგორც ოლიგარქი, რომელიც აფინანსებს „რადიკალური ომის პარტიას“ და სწორედ ამიტომ არ სურს ოპოზიციას ანტიოლიგარქიული კანონის მიღება, რომ არ დაკარგონ დაფინანსების წყარო. ზოგადად, მეორე ფაზაში დავით კეზერაშვილი კრიტიკის ერთ-ერთი მსხვილი ობიექტი იყო და მასზე საუბრისას ხშირად ახსენებდნენ, რომ იგი „ქართული ჯარის გაძარცვის ხარჯზე“ გამდიდრდა და სააკაშვილის ხელისუფლების დროს „ბიზნესის რეკეტის სისტემის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი იყო“.

რადიკალური ოპოზიციის მიმართ ბრალდებები მრავალმხრივი იყო, არა მხოლოდ საქართველოს ომში ჩართვას უკავშირდებოდა, არამედ ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლას. ამის ერთ-ერთ მტკიცებულებად მოყვანილი იყო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა პოსტები სოციალურ ქსელში, რომლებიც შობას 25 დეკემბერს ულოცავდა ხალხს და არა 7 იანვარს, როგორც მას ქართული მართლმადიდებლური ეკლესია აღნიშნავს. „მდიდარმა ენჯეოებმა მართლმადიდებლებს ქრისტიანობა არ მიულოცეს“ (ტვ იმედი).

მეორე ფაზაში ანტიდასავლური ნარატივები ხშირად ახსენებდა უკრაინას, იშვიათად ნეიტრალურ და უმეტესად უარყოფით კონტექსტში. უკრაინის მიმართ კრიტიკა რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობდა: დაუმსახურებელი კანდიდატის სტატუსი, რადგან იგი საქართველოს ჩამორჩება ევროკავშირთან შესაბამისობის კრიტერიუმებით; უკრაინა იფარებდა სააკაშვილსა და კიდევ ათამდე ქართველ კრიმინალს; უკრაინის მთავრობა აშშ-ს აგენტურა და მარიონეტული რეჟიმია; უკრაინა ცდილობს საქართველოში სიტუაციის არევას და მის ჩათრევას რუსეთთან გამანადგურებელ ომში.

თუკი მონიტორინგის პირველ ფაზაში ანტიდასავლური რიტორიკის ძირითადი ფიგურა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად აშშ და აშშ-ს ელჩი საქართველოში, კელი დეგნანი იყო, ოქტომბრიდან მოყოლებული გაძლიერდა ევროპარლამენტარების მიმართ უარყოფითი საუბარიც, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ევროკომისიამ საქართველოს კანდიდატის სტატუსის მისაღებად 12-პუნქტიანი გეგმის შესრულების რეკომენდაცია მისცა. ამ რეკომენდაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი დეოლიგარქიზაციას ეხებოდა და კეთდებოდა მინიშნება ბიძინა ივანიშვილზე. ამასთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში ბრალდებების მთელი კასკადი გაჩნდა

ევროპარლამენტარების მიმართ. სახელდებოდნენ კონკრეტული ევროპარლამენტარები (ფოტიკა, კუბილიუსი, იუკნევიჩიენე, გრეგოროვა, აგრამუნტი), რომლებსაც ხან აგენტობაში ადანაშაულებდნენ, ხან რადიკალურ ოპოზიციასთან მეგობრობაში, ხან არაადეკვატურ შეფასებებში, ხანაც ბიძინა ივანიშვილის უსამართლო დევნაში. ისმოდა შემდეგი ფრაზები: „საელჩოს ფავორიტი რადიკალური ოპოზიციის და ენჯეოების მხარდამხარ“, „კავკასიაში დასმული სოროსელები“, „დასავლეთის მონა პოლიტ-ელიტის გამოყენება“, „ევროპული აგენტოკრატია“, „საქართველოს დაუძინებელი მეგობრები“, „მეგობრობის ნიღაბს ამოფარებულები“, „უკრაინის ბედისკენ ექაჩებიან“.

აშშ-ს მსგავსად, ევროპარლამენტარებისა და, ზოგადად, დასავლეთის კრიტიკის გამორჩეული ხაზი ტრადიციული ფასეულობებისა და რელიგიისთვის საფრთხის შექმნას უკავშირდებოდა. ევროპარლამენტარ დეპუტატებს ლგბტ პროპაგანდის თავს მოხვევას ედავებოდნენ, ქართული ტრადიციული ფასეულობებისათვის დაპირისპირებას, დასავლეთს - საკუთარი ფასეულობების ძალით თავს მოხვევას და ამ კონტექსტში საუბარი იყო იმაზე, რომ დასავლეთში ბავშვების სქესის შეცვლა ნებადართული და ხელშეწყობილია და ისინი ცდილობენ, საქართველოშიც ნებადართული გახადონ ერთნაირსქესიანთა ქორწინებები და ლგბტ აღლუმები. ზოგადად, ევროპა ხშირად წარმოდგენილი იყო, როგორც ერთეული, რომელიც მორალურ და სულიერ კრიზისშია და რომელმაც დაკარგა ის ღირებულებები, რის გამოც საქართველოსთვის მნიშვნელოვანი იყო. დღეს იგი აშშ-ზე დამოკიდებულ და მის მიერ მართულ ერთობას, „ამერიკის აგენტოკრატიას“, წარმოადგენდა. შესაბამისად, ასეთი სუსტი ევროპა საქართველოს დასაცავად ვეღარ გამოდგებოდა. ევროკავშირში გაწევრიანება საქართველოში აგენტოკრატიის დამყარებას მოიტანდა, რაც ხელისუფლებაში ნაციონალურ მოძრაობასა და მათ კრიმინალურ რეჟიმს დააბრუნებდა და მეორე ფრონტის გახსნაც გარდაუვალი იქნებოდა. მეორე მხრივ, კი ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს ძალა არ ჰქონდა და არ ნიშნავდა აუცილებლად იმას, რომ საქართველო ევროკავშირში გაწევრიანდება. ამის მაგალითი კი თურქეთი იყო, რომელიც წლებია, ამ სტატუსის მფლობელია.

ასეთი ტიპის ნარატივები და ევროპარლამენტარებისა თუ ამერიკის საწინააღმდეგო განწყობის მატარებელი პოსტები ხშირი იყო „ხალხის ძალის“ წევრებზე დაყრდნობით. ნარატივების გამავრცელებლები იყვნენ ან დადასტურებული წყაროები: მედია საშუალებები, პოლიტიკოსების ოფიციალური გვერდები, ან კერძო პროფილები, რომლებიც „ტროლების“ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ და სხვადასხვა ჯგუფში ავრცელებდნენ ამ ნარატივებს. მედია საშუალებებიდან ყველაზე ხშირად აზიარებდნენ „პოს ტვ“-ს, „პოს ტვ ანალიტიკისა“ და „პოს ტვ ახალი ამბების“ პოსტებს, რომლებიც უფრო მკვეთრად ანტიდასავლური და კრიტიკული იყო, ვიდრე, მაგალითად, „იმედის“ პოსტები, რომლებიც უფრო იშვიათი და უფრო ზომიერი იყო. დადასტურებულად რეალური

პირებიდან შეიძლება, გამოიყოს ვლადიმერ ბოჟაძე, თბილისის საკრებულოს წევრი „ქართული ოცნებიდან“, ვინც თავისი ოფიციალური გვერდიდან ხშირად ავრცელებდა ანტიდასავლურ და ანტიამერიკულ პოსტებს, ვატო შაქარაშვილი, ასევე, ზაზა შათირიშვილი, რომელიც ვრცელ ანალიტიკურ ტექსტებს წერდა იმის ასახსნელად, თუ რატომაა დასავლეთი „ცუდი“ და არასაჭირო. მის პოსტებს შემდეგ აზიარებდნენ როგორც სხვადასხვა მედია საშუალებები, ასევე კერძო პროფილები. ხშირად მეორდებოდა „ხალხის ძალისა“ და „ქართული იდეის“ პოსტები.

რაც შეეხება კერძო პროფილებს, რომლებიც ეჭვს აჩენს, რომ ეს შეიძლება „ტროლები“ იყვნენ, მეორდება იგივე სქემა, რაც პირველ ფაზაში. ხშირია ახალგაზრდა გოგოების არარეალური პროფილები მრავალი მეგობრით, რომელიც მხოლოდ პოლიტიკურ პოსტებს აზიარებს სხვადასხვა ჯგუფში. თავის მხრივ, ღია ჯგუფები, რომლებშიც პოსტებს აზიარებდნენ, უცნაური სახელებისა და შინაარსის მატარებლები იყვნენ, მაგალითად: „ანტი-მასონობა. „ანტიქრისტეს“ ახალი მსოფლიო წესრიგი (NWO); ანტი-ეკუმენიზმი“, „ანტივაქსერობა“, „ექიმები / რჩევები“ (აღწერის თანახმად, ჯგუფი სამედიცინო კითხვებისა და რჩევებისთვის იყო; თუმცა, ხშირად იქ აზიარებდნენ ანტიდასავლურ და პოლიტიკურ ტექსტებს) და ა.შ.

კომენტარების ავტორების შესახებ ერთი საინტერესო დაკვირვება მეორე ფაზაში ისაა, რომ უმეტესად შუახნის ან უფროსი ასაკის ადამიანები არიან და უფრო ხშირად ქალები.

ფაზა 3: კანონის ინიცირებიდან მის ჩაგდებამდე, 2023 წლის თებერვლის შუა რიცხვებიდან 10 მარტამდე, პერიოდი

მესამე ფაზა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის ინიცირებიდან მის ჩაგდებამდე პერიოდს მოიცავს, 2023 წლის თებერვლის შუა რიცხვებიდან 10 მარტამდე და ეს ის პერიოდია, როცა ქვეყანაში მასობრივი საპროტესტო დემონსტრაციები იმართებოდა. ამ ფაზაში ყველაზე ხშირი ნარატივი ეხებოდა იმას, რომ ეს კანონი ამერიკულის მსგავსია, მისი მიზანი გამჭვირვალობაა და ტყუილია, რომ ის საფრთხეს უქმნის ქვეყნის ევრო-ატლანტიკურ მომავალს. არასამთავრობოები და ოპოზიცია მანიპულირებენ საზოგადოებაზე, როცა ამ კანონს რუსულს ეძახიან. კანონზე საუბრისას ხშირად მეორდებოდა ირაკლი კობახიძის განცხადებაზე დაფუძნებული ნარატივი, რომ კანონი ქართულია და განსხვავდება მსგავსი ამერიკული და რუსული ანალოგებისგან იმით, რომ არ ლახავს ადამიანის უფლებათა სტანდარტებს. ამ ნარატივთან კავშირში ასევე ხშირად იყო საუბარი იმაზე, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები იმიტომ ებრძვიან ამ კანონს ასე ინტენსიურად, რომ ფარდა არ აეხადოს მათ ფინანსებს და არ გამოჩნდეს, რომ დასავლეთის ინტერესების და დასავლური პროპაგანდის გამტარებლები არიან და პოლარიზაციისა და ექსტრემიზმის გაღვივებას უწყობენ ხელს.

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის გამჭვირვალობაზე ხაზგასმის პარალელურად ხაზი ესმებოდა იმას, რომ საქართველო ევროპისკენ უნდა წავიდეს ღირსებით, სუვერენიტეტისა და სარწმუნოების დაკარგვის გარეშე. აქვე, მეორე ფაზის მსგავსად, ხშირი იყო ე.წ. ორი ევროპის ნარატივი. ერთი ევროპა, რომლისკენაც საქართველო მიისწრაფის, ღირებულებები, რის გამოც ქვეყანამ ევროპა აირჩია. და მეორე ევროპა, რომელიც შესუსტებულია, დაცლილია ამ ღირებულებებისგან და რომელსაც სურს მისი ნების უსიტყვო შემსრულებელი საქართველო. სწორედ ეს „მეორე ევროპაა“, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების ხელით ლგბტ პროპაგანდას ეწევა და მართლმადიდებლურ ეკლესიასა და საპატრიარქოს ებრძვის.

ამ ფაზაში ირიბად კვლავ ვრცელდებოდა ომის ნარატივიც, რომ საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მანამდე იმიტომ არ მისცეს, რომ მან მეორე ფრონტის გახსნაზე უარი თქვა. კვლავ ხდებოდა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ოპოზიციის გაიგივება და საუბარი იმაზე, რომ მათ არეულობა, ხელისუფლების რევოლუციის გზით ცვლილება და სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის დაბრუნება უნდათ. მათ უკან დგას დასავლეთი და ეს საბოლოოდ ომში ჩართვას გამოიწვევს, რაც ქვეყანას უკრაინის მსგავს მდგომარეობაში ჩააგდებს. ამ კონტექსტშიც ისმოდა ფრაზები „გლობალური ომის პარტია“, „ადგილობრივი ომის პარტია“, „ომის და ღალატის პარტია“. ამავე კონტექსტში გახშირდა საქართველოს პრეზიდენტის დისკრედიტაცია და მისი დაკავშირება, ერთი მხრივ, ნაციონალურ მოძრაობასთან და, მეორე მხრივ, დასავლეთთან, რომლის გავლენის მატარებელიც იყო, ამ ნარატივების მიხედვით.

განსხვავებით წინა ფაზებისგან, ამ ფაზაში ანტიდასავლური ნარატივები უმეტესად ხელისუფლების ლიდერებისგან მოდიოდა. ხშირი იყო ირაკლი კობახიძის, კახა კალაძის განცხადებებზე დაფუძნებული პოსტები. კვლავ აქტიური იყო „ხალხის ძალა“ და მისი წარმომადგენლები, ასევე, ნიკოლოზ მჟავანაძე თავისი გადაცემით „სეზონი ტვ“-ზე, და ხელისუფლების მხარდამჭერი ექსპერტები და პოლიტოლოგები. კერძო პროფილებიდან ხშირად უცნობი ადამიანები აქტიურობდნენ, რომლებიც მათ მიერ ერთი და იგივე შინაარსის პოსტების სხვადასხვა ჯგუფში გაზიარება ეჭვს ბადებდა, რომ გარკვეული დაინტერესება ჰქონდათ.

მესამე ფაზა კანონის ინიცირებიდან მის ჩაგდებამდე პერიოდს მოიცავს, 2023 წლის თებერვლის შუა რიცხვებიდან 10 მარტამდე. ამ დროს ქვეყანაში მასობრივი საპროტესტო დემონსტრაციები იმართებოდა. ამ ფაზაში ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან დიდი ყურადღება ეთმობოდა კანონპროექტის მსგავსებას ამერიკულ უცხოელი აგენტების რეგისტრაციის აქტთან (FARA) და იმის მტკიცებას, რომ კანონის მიზანი გამჭვირვალობაა, შესაბამისად, ის ცუდი ვერ იქნება და წინ ვერ გადაეღობება საქართველოს ევროატლანტიკურ გზას. ეს კანონი დაიცავს ქვეყნის უსაფრთხოებასაც და მის ტრადიციებსაც იმ მხრივ, რომ არასამთავრობო სექტორი ვეღარ შეძლებს შემოდინებული ფულით ხალხის „ტვინების გამორეცხვას“ და რევოლუციის მოწყობას. აშშ-სა და ევროპის ქვეყნების თანამდებობის პირები ფინანსური გამჭვირვალობის წინააღმდეგნი არიან, რადგან ბევრი აქვთ დასამალი, ხოლო ეს კანონი სხვა ქვეყნებიდან შემოსული დაფინანსების რეგულაციისთვისაა საჭირო. კანონპროექტის ოპონენტები ებრძვიან ეკლესიას, რწმენას, ქართულ მენტალობასა და მამაპაპეულ ტრადიციებს. ანტიდასავლური ნარატივების ერთ-ერთი მიმართულება ის იყო, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების დამფინანსებლები ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობას ებრძვიან, და რომ ქართული პოლიტიკური ძალები, ოპოზიცია და რადიკალური ჯგუფები რუსეთის ინტერესების გამტარები, რუსეთის აგენტები არიან. მათ საპასუხოდ, ვინც ხაზს უსვამდა იმას, რომ კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ ხელს შეუშლის საქართველოს ევროინტეგრაციას, ხელისუფლების წარმომადგენლებმა გააჟღერეს და გააზიარეს ფრაზები: „ღირსებით ევროპისკენ“, მყარად ორ ფეხზე დგომით ევროკავშირის წევრობა.

დიაგრამა 4: მესამე ფაზაში ყველაზე ხშირად გავრცელებული ნარატივების ტოპ ხუთეული



ამ პერიოდში „ფეისბუქზე“ ერთ-ერთი ყველაზე ხშირი ნარატივი ეხებოდა იმას, რომ უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონი ამერიკული „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის აქტის“ (FARA) მსგავსია, მისი მიზანი გამჭვირვალობაა და ტყუილია, რომ ის საფრთხეს უქმნის ქვეყნის ევროატლანტიკურ მომავალს. ამ კონტექსტში ხშირად მეორდებოდა მოსაზრება, რომ „ხალხის ძალის“ მიერ ინიცირებულ კანონს საერთო არაფერი აქვს რუსულ კანონთან და ოპოზიცია და არასამთავრობოები სიცრუეს ავრცელებენ, რუსულ კანონად ასაღებენ მას და საზოგადოებაზე მანიპულირებენ. ამ კანონის მიღება სურთ იმისთვის, რომ ხალხმა იცოდეს, საიდან იღებენ და რაში ხარჯავენ არასამთავრობო ორგანიზაციები და მედია საშუალებები თანხებს. ხშირი იყო სწორედ ხალხზე მითითება, რომ საზოგადოებას სცოდნოდა, „ვისი დაფინანსებით წარმოებს მართლმადიდებელი ეკლესიის საწინააღმდეგო ბოლშევიკური პროპაგანდა, ვისი დაფინანსებით ფერხდება ქვეყნის ენერგეტიკული განვითარება და სხვა“. აქვე, ხშირად მეორდებოდა ირაკლი კობახიძის განცხადებიდან წამოსული მსგავსი ნარატივი, რომ კანონი ქართულია და განსხვავდება ამერიკულისგან, რომელიც ზღუდავს და ლახავს ადამიანის უფლებათა სტანდარტებს და რუსეთში მოქმედი კანონიც ამერიკულის მსგავსია, ხოლო ქართული ორივეს სჯობნის, რადგან არ ითვალისწინებს პატიმრობას, მხოლოდ ჯარიმით შემოიფარგლება და „უცხოური გავლენის აგენტების“ რეგისტრაციის პროცესი ბევრად უფრო მარტივია. გარკვეულწილად, ხდებოდა ამერიკული და რუსული კანონების ერთ სიბრტყეში განთავსება. აქვე ტრიალებდა ნარატივი, რომ ეს კანონი ვერ იქნება რუსული, რადგან ანალოგიური კანონი მოქმედებს ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაში და ის ხელს არ უშლის დემოკრატიის აღსრულებას, მაგ.: ავსტრალია, ისრაელი, ასევე, კანონის მიღებას ევროპარლამენტშიც აპირებენ. ხაზს უსვამდნენ იმასაც, რომ კანონპროექტი განსახილველად ვენეციის კომისიაშია გადაგზავნილი და ელიან მის დასკვნას.

უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის მთავარ მიზანზე, გამჭვირვალობაზე, საუბართან ერთად, ხშირი იყო საუბარი იმაზე, რომ საქართველო მიდის და უნდა წავიდეს ევროპისკენ ღირსებით, სარწმუნოებისა და სუვერენიტეტის დაკარგვის გარეშე. „ღირსებით ევროპისკენ“ - ერთგვარ ლოზუნგადაც იქცა. ამაზე საუბრობდნენ როგორც უშუალოდ ხელისუფლების წევრები, მაგალითად, ირაკლი კობახიძე, კახა კალაძე, ასევე მასთან ასოცირებული ჯგუფები თუ პირები: „ხალხის ძალა“, ნიკოლოზ მჟავანაძე თავისი გადაცემით „სეზონი ტვ“-ზე. ნარატივს „ღირსებით ევროპისკენ“ ზოგჯერ მცირე სახეცვლილებითაც ვხვდებოდით: „ქრისტიანობით ევროპისკენ“, „სუვერენიტეტით ევროპისკენ“. ასეთი ტექსტები საერთო ჯამში ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ ევროპა ეწინააღმდეგება საქართველოს ღირსებას, რელიგიას ან სუვერენიტეტს. ამ ნარატივთან კავშირში ასევე ხშირი იყო იმის თქმა, რომ საქართველო ევროპაში ორ ფეხზე დგომით, იგივე ღირსებით უნდა შესულიყო: „ცალ ფეხზე სიარულით ევროპაში ვერ შევალთ“. ფრაზა ცალ ფეხზე დგომის შესახებ უცხოური გავლენის

გამჭვირვალობის შესახებ კანონპროექტის პარლამენტში განხილვისას სახალხო დამცველის მოადგილის, გიორგი ბურჯანაძის ნათქვამს უკავშირდება, რომ ქვეყანამ, რომელსაც ევროკავშირის წევრობაზე განაცხადი აქვს გაკეთებული, ყველაფერი უნდა გააკეთოს ამის მისაღწევად, ცალ ფეხზე დგომა რომ მოუწიოს, უნდა დადგეს.

საინტერესოა, რომ მეორე ფაზის მსგავსად, მესამე ფაზაშიც ვხვდებით ე.წ. ორი ევროპის ნარატივს. ევროპა არის საქართველოს მიზანი და ქვეყანა ამ მიმართულებით მოძრაობს, თუმცა, ის ღირებულებები, რის გამოც საქართველომ ევროპა აირჩია, იქ შესუსტებულია ან აღარ არის. დღევანდელ ევროპას „ცალ ფეხზე მდგომი“ საქართველო სურს და არა „ორ ფეხზე მდგომი“. ასევე, აქტიურად ვრცელდებოდა ნარატივი, რომ დასავლეთი, არასამთავრობო ორგანიზაციების ხელით ლგბტ პროპაგანდას ეწევა და მართლმადიდებლურ ეკლესიასა და პატრიარქს ებრძვის („ეკლესიის მაგინებლები ვერასოდეს ვერ შევლენ ევროკავშირში“). ამის დასტურად მოყვანილი იყო ფაქტი, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა საპატრიარქოსთვის დაფინანსების გაზრდა გააკრიტიკეს და მისი გამჭვირვალობა მოითხოვეს.

მიუხედავად იმისა, რომ მესამე ფაზის დროს მთავარი ნარატივები უშუალოდ კანონპროექტის გარშემო ტრიალებდა, ირიბად ვრცელდებოდა ომის ნარატივიც, რომ ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსი მანამდე არ მოგვცეს იმის გამო, რომ საქართველო ომში არ ჩაერთო და მეორე ფრონტი არ გახსნა. ომში არჩართვის გამო საქართველოს დასჯის ნარატივი ვრცელდებოდა იმასთან კავშირშიც, რომ საქართველო მუდმივად კრიტიკის ობიექტი იყო - უკრაინაში მიღებული დეოლიგარქიზაციის კანონის მიღების შემთხვევაშიც და ამერიკული კანონის მიღების მცდელობის პროცესშიც. ომთან დაკავშირებით, წინა ფაზების მსგავსად, მესამე ფაზაშიც ხშირი იყო საუბარი იმაზე, რომ ოპოზიცია და არასამთავრობო ორგანიზაციები რეალურად ერთ ძალას წარმოადგენენ, მათ უნდათ არეულობა, ხელისუფლების იძულებით ცვლილება და რევოლუცია. მათ უკან დგას დასავლეთი, რომელსაც სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის დაბრუნება უნდა, რისი საბოლოო შედეგიც საქართველოს ომში ჩართვა და უკრაინის მსგავს სიტუაციაში აღმოჩენა იქნება. უკრაინა ისევ უმეტესად უარყოფითად იყო წარმოჩენილი, როგორც აშშ-ს მიერ მართული და მისი ინტერესების გამტარი, და ასევე, როგორც მაგალითი იმისა, თუ რა შეიძლება მოხდეს საქართველოში ომში ჩართვის შემთხვევაში. ამ კონტექსტშიც ისმოდა ფრაზები „გლობალური ომის პარტია“, „ნაც.მოძრაობა ადგილობრივი ომის პარტია“, „ომის და ღალატის პარტია“. ამავე კონტექსტში გაჩნდა პრეზიდენტის დისკრედიტაციის შემცველი პოსტები. პრეზიდენტს, რომელიც „ქართული ოცნების“ მხარდაჭერით იყო არჩეული ამ თანამდებობაზე, უკავშირებდნენ ნაციონალურ მოძრაობას და წარმოაჩენდნენ, როგორც დასავლეთის გავლენის მატარებელ თანამდებობის პირს.

შედარებით ნაკლებად, თუმცა, კვლავ გრძელდებოდა აგენტების თემით მანიპულირება. უცხო ქვეყნის აგენტებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ეძახდნენ ოპოზიციურ ჯგუფებს, როგორიცაა: „დროა“, „სირცხვილია“, „შეცვალე“. დონორებს აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ ამ ჯგუფებს აფინანსებენ, რადგან ეს პოლარიზაციისა და ექსტრემიზმის გაღვივებას უწყობს ხელს. ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციებს ადანაშაულებდნენ იმაში, რომ ისინი დასავლეთის ინტერესებისა და დასავლური პროპაგანდის გამტარებლები არიან და უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონს მხოლოდ იმიტომ აკრიტიკებენ, რომ მათ არ აწყობთ ფინანსური გამჭვირვალობა, რადგან ბევრ რამეს აეხდება ფარდა.

არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედია საშუალებების დისკრედიტაციის ერთ-ერთი მაგალითი, რომელიც მესამე ფაზაში განხილულ რამდენიმე ძირითად ნარატივს შეიცავს საჯარო ჯგუფ „სახალხო ლაშქარში“ დავითი ჩუბინიძის მიერ გაზიარებული პოსტია, რომელიც რუსული ტექსტით ჯგუფის წევრებს მიანიშნებს, რომ ეს მათთვის საინტერესო მასალაა და აზიარებს არნო ხიდირბეგიშვილის პოსტს, რომელსაც თან ახლავს ფოტო, რომელიც საქართველოში უცხოელი აგენტების სათაურის ქვეშ აჯგუფებს საერთაშორისო, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებსა თუ ოპოზიციურ პარტიებს. ამ პოსტში არასამთავრობო ორგანიზაციები და მედიები მილიონების აღებასა და ქვეყანაში გადატრიალების მოწყობის, წინა ხელისუფლების დაბრუნებისა და რუსეთის წინააღმდეგ ქვეყნის ომში ჩართვის მცდელობებშია დადანაშაულებული. მსგავსი შინაარსისა და პათოსის მატარებელია „Nemsadze David official”-ის ვიდეო ბლოგი საჯარო ჯგუფში „კინემატოგრაფია და საქართველო როგორც საექსპერიმენტო ქვეყანა“, რომელიც „გოგა გიო ახალაძის“ მიერაა გაზიარებული და ვიდეო მანიპულაციის მაგალითსაც წარმოადგენს, რადგან კონტექსტიდან ამოგლეჯილად აჩვენებს ძველ კადრებს, რაც ოპოზიციონერებისა და არასამთავრობოების დისკრედიტაციას ახდენს.

ირაკლი კობახიძის მიერ რამდენჯერმე ხსენების შედეგად იშვიათად გვხვდებოდა საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობისთვის ხელისშეშლის ნარატივიც, რომ ხალხმა უნდა იცოდეს, ვინ დგას ნამახვანჰესის პროტესტის უკან. მინიშნებას აკეთებს როგორც რუსეთზე, რომელსაც საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობა არ უნდა, ასევე ევროპაზე, რადგან ფინელი დეპუტატი აკრიტიკებს ნამახვანჰესის მშენებლობას.

მესამე ფაზის შემთხვევაშიც იყო პოსტები, რომლებსაც რომელიმე საინფორმაციო საშუალება (სეზონი ტვ, იმედი, Georgian Times, პოს ტვ) ან პოლიტიკოსების ოფიციალურ გვერდები ან ხელისუფლების მხარდამჭერი ექსპერტები და პოლიტოლოგები აზიარებდნენ (მაგ.: სოსო მანჯავიძე, რამაზ საყვარელიძე, ნოდარ ნემსაძე, დავით ქართველიშვილი), თუმცა, პოსტების ავტორები უფრო ხშირად უცნობი პროფილები იყო. უმეტესობა „ტროლის“ შთაბეჭდილებას არ

ტოვებდა, უფრო მაღალი ალბათობით, რეალური ადამიანების პროფილები იყო. თუმცა, ჩნდება კითხვა პროფილის ავტორის დაინტერესებაზე, რომ ერთი და იგივე შინაარსის პოსტები სხვადასხვა ჯგუფში გაეზიარებინა.

როგორ წინა ფაზების შემთხვევაში, მესამე ფაზაშიც იყო პოსტები, რომელთა ავტორები ჰგავდნენ „ტროლებს“. ასეთი იყო, მაგალითად, „იოსებ ბესარიონოვიჩი სტალინი“, რომელიც კონსერვატორულ ჯგუფებში ანტიდასავლურ პოსტებს აზიარებდა. ასევე, გრძელდებოდა წინა ფაზებში ნახსენები ტენდენცია, რომ ახალგაზრდა გოგოების პროფილები, რომლებიც შევსებული იყო ინფორმაციით და მიმზიდველი/სექსუალური ფოტოებით, ქართული სახელითა და გვარით, თუმცა, არაქართული გარეგნობის მქონე გოგოების ფოტოებით, იზიდავდნენ მეგობრებს ამ ფოტოების წყალობით და აზიარებდნენ პოლიტიკური შინაარსის პოსტებს. ასეთები იყო, მაგალითად: Taso Xunturi, Nina Dzagania.

კომენტარების ავტორები, როგორც წინა ფაზებში, აქაც უმეტესად შუა ასაკის ხალხია (რეალური პროფილების შემთხვევაში). უფრო მეტად ქალები, ვიდრე კაცები. მათი სამსახური თითქმის ყოველთვის დაფარულია და ვერ ვიგებთ, საჯარო მოხელეები არიან თუ არა. ფოტოებზე ხშირად გამოსახულნი არიან ოჯახთან ერთად. უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონთან მიმართებით ერთი მახასიათებელი ის არის, რომ კანონის მოწინააღმდეგეები უმეტესად ახალგაზრდები არიან, ხოლო მომხრეები პირიქით - შუა ხნის ხალხი. ამ ახალგაზრდებს და ზოგადად მომხრეებს ხშირად აქვთ უკრაინისა და ევროკავშირის „ფრეიმები“, ხოლო მოწინააღმდეგეებს ზოგჯერ საქართველოს დროშა, ან „ფრეიმები“: მე მიყვარს ჩემი პატრიარქი; გარეჯი საქართველოა.

ფაზა 4: კანონის ჩაგდების შემდგომი პერიოდი, 2023 წლის 10 მარტიდან ივნისამდე

მეოთხე ფაზა, რომელიც კანონის ჩაგდების შემდეგ დაახლოებით ორ თვეს მოიცავდა, გარკვეულწილად აგრძელებდა წინა ფაზების ძირითად ნარატივებს, ერთი მხრივ, კანონის მიზანზე, გამჭვირვალობაზე, მის მსგავსებაზე აშშ-სა და სხვა დასავლური ქვეყნების კანონებთან; მეორე მხრივ, კი დასავლეთის მიერ ისეთი ჯგუფების (არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ოპოზიციის) დაფინანსებაზე, რომლებიც გადატრიალების მოწყობას ლამობდნენ და იარაღსა და რევოლუციაზე მსჯელობდნენ.

იქიდან გამომდინარე, რომ 2023 წლის მარტის აქციებში აქტიურად მონაწილეობდნენ ახალგაზრდები, ე.წ. „ჯენ-ზი“, ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებული ფოკუსი სწორედ მათზე კეთდებოდა. ერთი მხრივ, ხაზი ესმებოდა იმას, რომ ხელისუფლებამ კანონი ჩააგდო სწორედ ახალგაზრდების დაცვისა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის და საპროტესტო აქციებში მონაწილე ახალგაზრდები შეცდომაში იყვნენ შეყვანილნი. თუმცა, მეორე მხრივ მიმდინარეობდა ამ ახალგაზრდების დისკრედიტაცია. მათ „სქესარეულ“, „ანარქისტ“, ზოგჯერ „სატანისტ“ პირებს უწოდებდნენ, რომლებიც „ბოლშევიზმის, ნეოლიბერალიზმის და კლუბური ნარკოტიკის შხამით“ იყვნენ მოწამლულები. ორივე შემთხვევაში რიტორიკას ფონად გასდევდა საუბარი იმაზე, რომ ახალგაზრდები შეგნებულად ან შეუგნებლად გამოყენებულნი იყვნენ რადიკალური ოპოზიციისა და დასავლეთის მიერ.

ამ ფაზაში გამოჩნდა ტერმინები „ლიბერალური ფაშიზმი“ და „ნეობოლშევიზმი“ და ორივე კანონის მოწინააღმდეგეებს მიემართებოდა. საუბარი იყო იმაზე, რომ ეს უკანასკნელნი დემოკრატიული ღირებულებების სახელით ებრძოდნენ საკუთარ ერს და ბოლშევიკური მეთოდებით ებრძოდნენ განსხვავებული აზრის მქონეებს. აბულინგებდნენ კანონის მომხრე დეპუტატებს, მათი ოჯახის წევრებს, ბავშვებს, საკუთარ ლექტორებსა და მასწავლებლებს. ახალგაზრდების მობილიზებისა და მათი ტვინის რეცხვის კონტექსტში ხშირად ახსენებდნენ „გირჩი - მეტი თავისუფლებასა“ და „ფრანკლინის კლუბს“, ასევე ილია უნისა და თავისუფალ უნივერსიტეტს.

მესამე ფაზის მსგავსად გრძელდებოდა პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის კრიტიკა და დისკრედიტაცია. იგი კანონის აქტიური მოწინააღმდეგე იყო. მას წარმოაჩენდნენ, როგორც რადიკალური ოპოზიციის მხარდამჭერსა და ლიდერს და როგორც დასავლეთის გეგმასა და აგენტს.

ომის საფრთხის ნარატივი მეოთხე ფაზაშიც გაგრძელდა. ამ შემთხვევაში გამოყენებული იყო რუსეთის წინააღმდეგ დასავლური სანქციების თემა, რომ დასავლეთის მხრიდან საქართველოსთვის ამ სანქციებისთვის მიერთების მოთხოვნა სამხედრო ესკალაციას გამოიწვევს რუსეთთან და ეს ნიშნავს, რომ დასავლეთს ქვეყნის ომში ჩათრევა უნდა.

მესამე ფაზის მსგავსად ამ ფაზაშიც ანტიდასავლური შინაარსის პოსტები ყველაზე ხშირად ხელისუფლების ლიდერების: ირაკლი კობახიძისა და ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებებს ეფუძნებოდა. ასევე, აქტუალური იყო „ხალხის ძალის“ წევრის დავით ქართველიშვილის განცხადებები. საკუთრივ პოსტების გამავრცელებლები ისევე, როგორც ყველა ფაზაში, იყვნენ მედია საშუალებებიც (როგორც ცნობილი, ასევე ნაკლებად ცნობილი), პოლიტიკური ორგანიზაციები ან პოლიტიკოსების ოფიციალური გვერდები, ნაცნობი სახეები, მაგალითად, გია აბაშიძე და ნანა კაკაბაძე, და უცნობი კერძო პირები, რომელთა ნაწილი „ტროლის“ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

მეოთხე ფაზაში, რომელიც პარლამენტის მიერ კანონის ჩაგდების შემდგომ პერიოდს მოიცავს, ხელისუფლების წარმომადგენლები რამდენიმე ნარატივს ავითარებდნენ. ერთი მხრივ, ისინი ხაზს უსვამდნენ ხელისუფლების მიღწევას იმ მხრივ, რომ მან თავიდან აირიდა მიზანმიმართული პროვოკაცია და არეულობა ქვეყანაში და დაიცვა ახალგაზრდების სიცოცხლე და ჯანმრთელობა. მეორე მხრივ, იმავე ახალგაზრდებზე საუბრისას, ამბობდნენ, რომ დასავლეთი, ოპოზიცია და რადიკალური ჯგუფები, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციები ამ ახალგაზრდებს ქვეყანაში არეულობის მოწყობისთვის იყენებენ. პროტესტის მონაწილეებს ადანაშაულებდნენ ბოლშევიზმისა და ფაშიზმის მიდგომების გამოყენებაში და საწინააღმდეგო აზრის მქონე პირთა მიმართ ბულინგში.

ამასთან ერთად, ხელისუფლების წარმომადგენლები დასავლეთს აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ ისინი პროპაგანდისტულ კამპანიაში იყვნენ ჩართული და ამერიკულ და ევროპულ მედიაში ყალბ სტატიებს აბეჭდინებდნენ ქართველი ხალხის წინააღმდეგ, ასევე, იმის გამო, რომ ისინი საქართველოში უკანონოდ აფინანსებდნენ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც იარაღსა და რევოლუციაზე მსჯელობდნენ. ხელისუფლების წევრები კანონისთვის რუსულის დარქმევას საზღვარგარეთიდან შემოგდებულ ფრაზას უწოდებდნენ, რომლის მიზანიც ე.წ. „მაიდნის“ სცენარის გამეორება და გადატრიალების მოწყობა იყო. დასავლეთის ოფიციალურ პირებს ბრალს სდებდნენ ორმაგი სტანდარტებით მოქმედებაში, რადგან ისინი რამდენიმე კვირაში თავად აპირებდნენ მსგავს კანონზე მუშაობის დაწყებას.

ხელისუფლების წარმომადგენლების რიტორიკის ერთ-ერთი მიმართულება კვლავ ომის საფრთხის ხაზგასმას უკავშირდებოდა, ამ შემთხვევაში რუსეთისთვის სანქციების დაწესებასა და სავიზო რეჟიმის გამკაცრებაზე ზეწოლას დასავლეთის მხრიდან, რაც საქართველოს უსაფრთხოებას აყენებდა რისკის ქვეშ და ეკონომიკასაც დააზარალებდა. დასავლეთის სურვილი იყო, ისეთი ხელისუფლება მოეყვანა ქვეყნის სათავეში, ვინც მათ ბრძანებებს დაემორჩილებოდა, მათ შორის, მეორე ფრონტს გახსნიდა რუსეთის წინააღმდეგ.

დიაგრამა 5: მეოთხე ფაზაში ყველაზე ხშირად გავრცელებული ნარატივების ტოპ ხუთეული



მეოთხე ფაზა მოიცავს უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის ჩაგდების შემდგომ პერიოდს, 2023 წლის 10 მარტიდან 1 ივნისამდე. ამ ფაზაში ხელისუფლების წარმომადგენლების რიტორიკა, მათ შორის, ანტიდასავლური, ძირითადად კანონის ლეგიტიმაციის ხაზს მიყვებოდა. ერთი მხრივ, ეს იყო კანონი, რომელიც დასავლეთის ქვეყნებში მოქმედებს და მისაღებია მათთვის, შესაბამისად, რუსული ვერ იქნება და დასავლეთი თანასწორად არ გვექცევა. აქვე შემოდის ნარატივი, რომ გარედან ლეგიტიმაცია საქართველოს არ სჭირდება და მისი სუვერენიტეტი არ უნდა დაირღვეს. ასევე გამჭვირვალობის დაჟინებული ხაზი, რაც ცდილობს, ხაზი გაუსვას არასამთავრობო სექტორის კორუფციულობასა და ელიტიზმს.

უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის ჩაგდების შემდეგაც ხშირი იყო ამ კანონის ამერიკულ ანალოგთან მსგავსებაზე საუბარი და მისი არარუსულობის მტკიცება. საუბარი იყო იმაზე, რომ კანონის რუსულად შერაცხვა იყო „საუკუნის აფიორა“, საუკუნის პიარ-თაღლითობა ან შემოგდებული პიარ კამპანია, რომლის უკანაც აშშ და საქართველოში მისი წარმომადგენლები იყვნენ. თუმცა, ახლა ამ თემის წინ წამოწევის მიზანი უმეტესად დასავლელი აქტორებისთვის ორმაგ თამაშში ბრალის დადება იყო: „რაც ეპატიება იუპიტერს, არ ეპატიება ხარს. საქართველოს არ აქვს უფლება, საკუთარი ინტერესები გაატაროს“. ამ შემთხვევაში ხელისუფლების ლიდერები უფრო

რბილად და ირიბად ამბობდნენ, რომ საქართველოში ინიცირებული კანონპროექტი პირდაპირ ამერიკული კანონის თარგმანი იყო, იგი მოქმედებდა კანადაშიც და მსგავსის მიღებას აპირებდნენ ევროკავშირში. თუმცა, „ხალხის ძალის“ წარმომადგენლები პირდაპირ ბრალს სდებდნენ დასავლეთს, რომ ისინი ებრძოდნენ აგენტებს და საქართველოს არ აძლევდნენ საშუალებას, რომ სცოდნოდა, თუ რისთვის აფინანსებდნენ ისინი „აგენტ“ და „მოღალატე“ არასამთავრობო ორგანიზაციებს.

გარდა ამისა, მეოთხე ფაზაში ერთ-ერთი ყველაზე ხშირი ნარატივი კვლავაც ეხებოდა იმას, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს ოპოზიციასთან ერთად დესტაბილიზაციის შექმნა და ხელისუფლების შეცვლა, ქვეყანაში გადატრიალების მოწყობა უნდათ. ეს ნარატივი გამყარებული იყო უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციებზე გაჟღერებული მოწოდებებით, რომ ე.წ. „რუსული მთავრობა“ უნდა გადადგეს. ხაზგასმა ხდებოდა იმაზეც, რომ საპროტესტო აქციის მონაწილეები პოლიციას უპირისპირდებოდნენ. პროსახელისუფლებო მედია საშუალებები იყენებდნენ ამას და ავრცელებდნენ ნარატივს, რომ ოპოზიციას, რომელსაც „რადიკალურ“, „ექსტრემისტულ“, „ანარქისტულ“ ძალებს უწოდებდნენ, ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა უნდა. მარტის აქციები მოხსენიებული იყო, როგორც „სამდღიანი ქუჩური ბრძოლები“, რომელზეც იყო პროცესების მაიდანიზაციის მცდელობა, ხოლო ამ ყველაფრის რეალური მიზანი იყო რევოლუცია და ხელისუფლების შეცვლა. შიგადაშიგ ამ რიტორიკას ემატებოდა ის ნარატივი, რომ ამის უკან დასავლეთი დგას და მას უნდა ხელისუფლებაში „ძველი რეჟიმის“ დაბრუნება და საკუთარი აგენტების დასმა, რადგან ისინი ამჟამინდელი ხელისუფლების მსგავსად არ გაუძალიანდებოდნენ და გახსნიდნენ მეორე ფრონტს რუსეთთან. მეოთხე ფაზაში გამოიკვეთა მიდგომა, რომ აშშ-სა და ევროკავშირის წარმომადგენელ ცალკეულ პოლიტიკოსებს შედარებით უფრო იშვიათად ახსენებდნენ და უფრო ხშირი იყო ერთიანი დასავლეთისა და „გლობალური ომის პარტიის“ ხსენება. საქართველოს დასავლელი პარტნიორები დადანაშაულებულნი იყვნენ ორმაგი სტანდარტების გამოყენებაში და საქართველოს „კანონის უზენაესობისა და ქვეყნის სუვერენიტეტის ხელყოფაში“.

არასამთავრობო ორგანიზაციებზე საუბრისას ხაზს უსვამდნენ მათ კავშირს 2003 წლის ვარდების რევოლუციასთან, რამაც ქვეყანას მოუტანა ადამიანების წამება, ბიზნესის რეკეტი, ავტორიტარიზმი, მედიის მიტაცება და ტერიტორიის 20%-ის დაკარგვა. ხშირად იყო მინიშნება ე.წ. „ბაკურიანის ტრენინგებზე“, რომელიც ახალგაზრდების ქუჩაში გამოყვანის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო და ახალგაზრდების მიერ სირენებზე ცეკვა, წყლის ჭავლზე ხტომა და სპეცრაზმელებისთვის ყვავილების მიწოდება ამ ტრენინგებზე განხილული სახელმძღვანელოებიდან იყო შესწავლილი.

უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო რიტორიკა სალომე ზურაბიშვილის კრიტიკასაც მოიცავდა. პროსახელისუფლებო პროპაგანდა პრეზიდენტ ზურაბიშვილს რადიკალური ოპოზიციის მხარდამჭერად და მის ლიდერად მოიხსენიებდა. „ოპოზიციას მხარს უბამს საქართველოს პრეზიდენტიც, ტაშს უკრავს და აქეზებს მოძალადეებს (რაც საეჭვოს ხდის საქართველოსადმი მის ერთგულებას)“. მას წარმოაჩენდნენ, როგორც დასავლეთის გეგმას, მის აგენტს ისევე, როგორც მიხეილ სააკაშვილს. სალომე ზურაბიშვილის მიერ ვილნიუსში გაკეთებული განცხადება და ნატო-ს მიმართ მოწოდება, რომ გადადგას ქმედითი ნაბიჯები საქართველოს გაწევრიანებისთვის, ინტერპრეტირებული იყო, როგორც საქართველოს სამხედრო პოლიგონად გადაქცევის რისკი. ამ შინაარსის ერთ-ერთი პოსტია საჯარო ჯგუფში „NEWS – Georgia & World” მარიამ ძარღუაშვილის მიერ გაზიარებული ვიდეო ამონარიდი და გადაცემის სრული ბმული, „სოლიდარობა მშვიდობისთვის“ პოსტი, სადაც საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი მიხეილ ჟღენტი პარალელებს ავლებს სააკაშვილთან და აგვისტოს ომთან და სალომე ზურაბიშვილს დასავლეთის კიდევ ერთ აგენტად და იარაღად მოიაზრებს: „ეხლა ჩართეს უკვე, ერთ-ერთი, ალბათ, ბოლო საშუალება არის, ამ ქალბატონის ამოქმედება, ამუშავება, რომ რადაც არ უნდა დაჯდეს, რის ფასად არ უნდა დაჯდეს, ჩვენ აღმოვჩნდეთ იმ ქარიშხალში, რომელსაც ქვია უკრაინა და რუსეთის ომში ჩაბმა“.

აქციებში ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობის გამო მეოთხე ფაზაში ხელისუფლების რიტორიკის მნიშვნელოვანი ფოკუსი სწორედ ახალგაზრდები იყო. ერთი მხრივ, გვხვდებოდა რბილი მიდგომა, რომ აქციებში მონაწილეობდნენ აღშფოთებული, პატიოსანი ახალგაზრდები, რომლებმაც ან რაღაც ვერ გაიგეს, ან შეცდომაში იყვნენ შეყვანილნი. განსაკუთრებით ესმებოდა ხაზი იმას, რომ სტუდენტებსა და ახალგაზრდებს კანონი წაკითხულიც არ ჰქონდათ და მათ წაუკითხავად გააპროტესტებინეს იგი. რამდენიმე უნივერსიტეტს, განსაკუთრებით „ალასანიას უნივერსიტეტს“, რომელშიც, მათი თქმით, განთავსებული იყო „ფრანკლინის კლუბი“, ასევე, თავისუფალ უნივერსიტეტსა და ილია უნის მოიხსენიებდნენ, „მიშისტურ-ლიბერალურ ცენტრებად“, „ლიბერალურ ქარხნებად“ და ახალგაზრდების ტვინის რეცხვის მანქანებად. „პრაქტიკულად ეს უნივერსიტეტები წარმოადგენენ ლიბერალურ ქარხანას, სადაც ყველანაირი კრიტიკული აზრი ჩახშობილია. იმ დროს, როდესაც კრიტიკულად მოაზროვნე ლექტორების რაოდენობა სერიოზულ დეფიციტშია, მათზე მიდის შეტევა. ეს ნიშნავს, რომ ლიბერალური ფაშიზმის დამყარების მცდელობაა. ვეღარ იტანენ განსხვავებულ აზრს და ცდილობენ მის გაქრობას,“ - ნათქვამია „POSTV - ანალიტიკის ვიდეოში“, რომელსაც გია აბაშიძე საჯარო ჯგუფ „პროტესტში“ აქვეყნებს. ვიდეოში საქართველოში მიმდინარე საპროტესტო ტალღა შედარებულია წლების ჩინურ „კულტურული რევოლუციის პრაქტიკებს“, ხუნგ ვეი პინგების მოძრაობას, თუმცა, ეს მოძრაობა აღწერილია,

როგორც სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეების მოძრაობა, რომლებიც ებრძოდნენ ლექტორებს, რომლებსაც „იდეოლოგიურ მტრებად თვლიდნენ“.

მეორე, რადიკალური მიდგომით, პროტესტის მონაწილე ახალგაზრდები დასავლეთიდან და ადგილობრივი რადიკალური ორგანიზაციებიდან ტვინგამორეცხილი ჯგუფები იყვნენ, რომლებიც პოლიციელებს ცოცხლად დაწვას უპირებდნენ, პარლამენტში მოლოტოვის კოქტეილებს ისროდნენ და ა.შ. მათ მოიხსენიებდნენ, როგორც „სქესარეულ“, „ანარქისტ“, ზოგჯერ სულაც „სატანისტ“ პირებს, „ბოლშევიზმის, ნეოლიბერალიზმის და კლუბური ნარკოტიკის შხამით მოწამლული, გონებადაბნელებული, სქესარეული, თავგზადაკარგული ახალგაზრდები“. ზოგჯერ ამ ეპითეტების ქვეშ მოიაზრებოდა ლაზარე გრიგორიადისი, როგორც კრებსითი სახე, თუმცა, პირდაპირ ნახსენები არ იყო. ორივე შემთხვევაში რიტორიკას ფონად გასდევდა საუბარი იმაზე, რომ ახალგაზრდები პირდაპირ ან შეუგნებლად გამოყენებულნი იყვნენ რადიკალური ოპოზიციის ან/და დასავლეთის მიერ. ამავე კონტექსტში სწორედ ახალგაზრდებზე ზრუნვას და ოპოზიციის მხრიდან ნებისმიერ პროვოკაციაზე წასვლას ასახელებდა ხელისუფლება უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის გაწვევის მიზეზად.

აქტუალური იყო ნარატივი, რომ კანონის მოწინააღმდეგეები იქცევიან ფაშიზმისა და ბოლშევიზმის საუკეთესო ტრადიციების დაცვით და ამ ყველაფერს ევროპულობის სახელით ნიღბავენ. საჯარო ჯგუფში „კახა კალაძე - ქართული ოცნება“ ნუკა არველაძე (ადმინი) აზიარებს ნანა კაკაბაძის 2023 წლის 15 მარტის პოსტს, რომელშიც ის „ნეოლიბერალური ოპოზიციის პროპაგანდის შედეგად, საზოგადოებრივად აქტიურ მოქალაქეებს ლიბერალურ ფაშიზმში ადანაშაულებს: „აჩრდილი დადის საქართველოში, აჩრდილი ‘ლიბერალური’ ფაშიზმისა... დღეს სწორედ ამ [დემოკრატიული] ღირებულებების სახელით და კეთილშობილური ლოზუნგების მანიპულაციით გამოუსწორებელი ნაძირლები ცდილობენ, დანერგონ ადამიანების ტვინებში და გულებში ‘ლიბერალური’ ფაშიზმი, რომელიც ჩვეულებრივი ფაშიზმის ნაირსახეობაა. განსხვავება მხოლოდ ერთშია. აქაურ ფაშისტებს, იქაურებისგან განსხვავებით, სძულთ საკუთარი ერი და სისასტიკესაც ყველაზე მეტად ქართველთა მიმართ ამჟღავნებენ“. ამ ყველაფრის წამახალისებლად კი დასავლეთი მოიაზრებოდა.

ახალგაზრდებისა და, ზოგადად, აქციის მონაწილეების შესახებ კეთდებოდა განცხადებები, რომ ისინი აბულინგებდნენ კანონის მომხრე დეპუტატებს და ბოლშევიკური მეთოდებით ებრძოდნენ განსხვავებული აზრის მქონეებს: დეპუტატებს, დეპუტატების ოჯახის წევრებს, ბავშვებს, თავის ლექტორებსა და მასწავლებლებს. ისმოდა ფრაზები „ლიბერალური ფაშიზმი“ და „ნეობოლშევიზმი“. ხშირად მეორდებოდა ირაკლი კობახიძის განცხადება, რომ ეს ადამიანები აქამდე და ამგვარად აბულინგებდნენ კალათბურთის ეროვნული ნაკრების კაპიტანს, თორნიკე

შენგელიას, და ფეხბურთელ ხვიჩა კვარაცხელიას. ამ ჭრილში და ახალგაზრდების მობილიზებისა და ტვინის რეცხვის კონტექსტში ხშირად ახსენებდნენ „გირჩსა“ და „ფრანკლინის კლუბს“.

მიუხედავად იმისა, რომ მეოთხე ფაზაში თითქოს სხვა თემები და ნარატივები უფრო მნიშვნელოვანი იყო, მაინც აქტუალურად დარჩა ომის საფრთხის ნარატივი, როგორც რადიკალური ოპოზიციის მიერ ხელისუფლების დამხობისა და მეორე ფრონტის გახსნისა და დასავლეთის მიერ მეორე ფრონტის არგახსნის გამო ხელისუფლების დასჯის, ასევე რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესების კონტექსტში. ხელისუფლების ლიდერები აღნიშნავდნენ, რომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას შეარყევს, გვექნება „ორნიშნა ვარდნა“ და საქართველო ომის საფრთხის წინაშე დადგება. ასევე, რომ რუსეთისთვის სანქციები დაწესება გამოიწვევს ვითარების ესკალაციას საქართველოსა და რუსეთს შორის, რაც შეიძლება, ომშიც გადაიზარდოს, და მძიმე ეკონომიკური შედეგები ექნება საქართველოს მოსახლეობისთვის, რუსეთს კი ეს მეტად არ დააზარალებს. დასავლეთთან კავშირში კი ხდებოდა იმაზე მითითება, რომ სანქციებთან მიერთების მოთხოვნა იმაზე მიანიშნებს, რომ დასავლეთს საქართველოს ეკონომიკური განვითარება არ უნდა და ხელისუფლებაზე ზეწოლის მოხდენას ცდილობს, რასაც შეიძლება რუსეთთან სამხედრო ესკალაციაც მოჰყვეს. გარდა ამისა, სანქციებთან დაკავშირებით იმასაც უსვამდნენ ხაზს, რომ დასავლეთი თავად მაინც ვაჭრობს რუსეთთან: ერთი მხრივ, შეამცირეს ბუნებრივი გაზის შესყიდვა, თუმცა, გაზარდეს თხევადი გაზის შესყიდვა; შეამცირეს ნავთობპროდუქტების ყიდვა რუსეთიდან, თუმცა, გაზარდეს მესამე ქვეყნებში გადამუშავებული რუსული ნავთობპროდუქტების შესყიდვა ინდოეთიდან, ტუნისიდან და ა.შ. გარდა ამისა, სანქციები არ დაუწესეს რუსულ ალმასებს, რადგან ეს დააზარალებდა ბელგიის ალმასის ბირჟას.

მეოთხე ფაზაში პოსტის შინაარსის ავტორები, ვის განცხადებებზე დაყრდნობითაც ვრცელდებოდა ნარატივები, ყველაზე ხშირად იყვნენ ირაკლი კობახიძე, ირაკლი ღარიბაშვილი და დავით ქართველიშვილი.

პოსტის ავტორები უმეტესობა იყო ოფიციალური მედია საშუალებები (როგორც ცნობილი, მაგალითად, „იმედი“, „პოს ტვ“ და ა.შ., ასევე, ნაკლებად ცნობილი, მაგალითად: Exclusive Media, inews, Nation Georgia/ნეიშენ ჯორჯია, აპლოდისმენტი) ან პოლიტიკური ორგანიზაციები და პოლიტიკოსები, პარტიებისა და ჯგუფების ოფიციალური გვერდები (ყველაზე ხშირად „ხალხის ძალა“), ნაცნობი სახეები, მაგალითად, გია აბაშიძე, ნანა კაკაბაძე, შედარებით ნაკლებად - კერძო პირები, რომელთა შორის იყვნენ ისეთები, რომლებიც ტროლობის ეჭვს აჩენდნენ, ასევე ისეთები, რომლებზეც რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ამ ადამიანებს დავალებული ჰქონდათ ასეთი პოსტების გაზიარება, რადგანაც მათი გვერდის დათვალიერებისას ჩანდა, რომ ეს ადამიანები და მათ მიერ გაზიარებული პოსტები აცდენილი იყო ერთმანეთთან.

კომენტარების ავტორები წინა ფაზების მსგავსად უმეტესად შუა ხნის ან ხანში შესულები იყვნენ, უფრო ხშირად ქალები, და ამ ასაკობრივი ჯგუფის ავტორები უმეტესად ანტიდასავლურად და პროსახელისუფლებო განწყობას ატარებდნენ, ახალგაზრდები კი - პირიქით. პროსახელისუფლებო კომენტარების ავტორებს ხშირად ჰქონდათ საქართველოს დროშის, „მე მიყვარს პატრიარქის“ და „გარეჯი საქართველოას“ „ფრეიმები“, ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილ ავტორებს კი - უკრაინისა და ევროკავშირის დროშების. კომენტარებში იშვიათი იყო საკითხის განხილვა, უმეტესად იყო მარტივი შექება ან, პირიქით, ლანძღვა. მეოთხე ფაზაში მეტად გვხვდებოდა პოსტის საწინააღმდეგო კომენტარები, რაც შესაძლოა პროტესტის მობილიზაციის დონეს უკავშირდებოდეს.

დასკვნა

2022 წლის ივნისიდან 2023 წლის ივნისამდე პერიოდში, ხელისუფლების მხრიდან წამოსული ანტიდასავლური ნარატივებისა და სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ მათი გავრცელების თავისებურებების გაანალიზებისას გამოიკვეთა, რომ ხელისუფლების მხრიდან მიმდინარეობდა არასამთავრობო ორგანიზაციების, ოპოზიციისა და დასავლეთის თანმიმდევრული დისკრედიტაცია.

ამას ადასტურებს კვლევის ფარგლებში შეგროვებული რაოდენობრივი მონაცემები, რომლის მიხედვითაც, ხუთი ყველაზე ხშირად ნახსენები აქტორია: ნაციონალური მოძრაობა, რუსეთი, დასავლეთი, აშშ და არასამთავრობო ორგანიზაციები და, რუსეთის გამოკლებით, ყველა მათგანის ხსენების ტონი შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში უარყოფითია. ნაციონალური მოძრაობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების შემთხვევაში დადებითი ხსენება საერთოდ არ ფიქსირდება (იხ. დიაგრამა).

დიაგრამა 6: ყველაზე ხშირად ნახსენები ხუთი აქტორი და მათი ხსენების ტონი (პოსტების რაოდენობა)



რაც შეეხება საკუთრივ ანტიდასავლურ ნარატივებს, მონიტორინგის პერიოდის პირველ ეტაპზე დასავლეთის საწინააღმდეგო რიტორიკა ირიბად მიმდინარეობდა, ხელისუფლების კრიტიკის მთავარი სამიზნე არასამთავრობო ორგანიზაციები, ე.წ. „მდიდარი ენჯეოების კლანი“ იყო, ხოლო დასავლური ორგანიზაციები თუ ქვეყნები ამ კრიტიკის ქვეშ მხოლოდ არაპირდაპირ ხვდებოდნენ, როგორც მათი დამფინანსებლები.

მომდევნო თვეებში ანტიდასავლურ ნარატივებში კონკრეტული ქვეყნები ან ამ ქვეყნების წარმომადგენლები გაჩნდნენ, მაგალითად, აშშ და მისი ელჩი საქართველოში, ევროპა და კონკრეტული ევროპარლამენტარები. მათ აკრიტიკებდნენ, როგორც ქვეყანაში ისეთი ძალების მხარდამჭერებს, რომლებიც ხელისუფლების ძალით გადატრიალებას და დესტაბილიზაციას ცდილობენ, რომ ხელისუფლებაში მოიყვანონ ისეთი ძალა (დააბრუნონ წინა მმართველი გუნდი), რომელიც მათ ნებას უსიტყვოდ დაემორჩილება და საქართველოში მეორე ფრონტს გახსნის.

ომის საფრთხის ხაზგასმა მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში აქტუალური იყო. ამაზე მითითება კეთდებოდა როგორც რადიკალური ძალებისა (ოპოზიცია და არასამთავრობო ორგანიზაციები) და მათი დონორების (დასავლური ქვეყნები და ორგანიზაციები) ზრახვების ინტერპრეტირებით, ასევე, ისეთ თემებთან კავშირში, როგორიცაა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის ვერმიღება, როგორც დამსჯელი ღონისძიება ომში არჩართვისთვის, ან რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციებისთვის არმიერთება.

მონიტორინგის მეორე ფაზაშივე, რაც 2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის თებერვლის შუა რიცხვებამდე პერიოდს მოიცავს, გაჩნდა ფრაზა „გლობალური ომის პარტია“, რომელიც მომდევნო თვეებშიც აქტიურად გამოიყენებოდა. იგი აღნიშნავდა ხან ნაციონალურ მოძრაობას, რომელიც ასევე „ადგილობრივი ომის პარტიად“ ან „ომისა და ღალატის პარტიად“ მოიხსენიებოდა, ხანაც ზეპარტიულ გაერთიანებას, რომელშიც იგულისხმებოდა აშშ-ს, უკრაინის, ევროკავშირის კონკრეტული ძალები. უკრაინა ხშირად იყო წარმოდგენილი, როგორც მაგალითი იმისა, თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდება ქვეყანა, რომელიც დასავლეთის მითითებებს დაემორჩილება.

გაღვივდა ნარატივი იმის თაობაზე, რომ დასავლეთი ქართულ ღირებულებებს და რელიგიას ებრძვის და ცდილობს, ძალით მოახვიოს თავს ისეთი ფასეულობები, როგორიცაა ერთნაირსქესიანთა ქორწინება, და ზოგადად გასწიოს ლგბტ პროპაგანდა.

მეორე ფაზიდან მოყოლებული ვრცელდებოდა ნარატივი იმის შესახებ, რომ ევროპა აღარ არის ისეთი, რისკენაც საქართველოს ისწრაფოდა. იგი სუსტია, მართული და მორალისგან დაცლილი. ეს არის ევროპა, რომელსაც მხოლოდ „ცალ ფეხზე მდგომი“ საქართველოს მიღება უნდა თავის რიგებში და არ დაიცავს მის სუვერენიტეტს და ეროვნულ ფასეულობებს, ევროპა, რომელიც ქართულ სარწმუნოებას და ტრადიციებს უპირისპირდება.

განხილული მიგნებები რაოდენობრივი მონაცემებითაც დასტურდება. ქვემოთ მოცემულია ხუთი ყველაზე ხშირი ანტიდასავლური ნარატივი (იხ. დიაგრამა).

დიაგრამა 7: ხუთი ყველაზე ხშირად გამეორებული ნარატივი (პოსტების რაოდენობა)



აღსანიშნავია, რომ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის ინიცირება და მის გარშემო მიმდინარე რიტორიკა მონიტორინგის პერიოდის დასაწყისიდანვე გაჟღერებული ანტიდასავლური ნარატივების ერთგვარ კულმინაციას წარმოადგენდა. ეს კანონი აღწერილი იყო, როგორც ქვეყნის სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების გარანტი, რომელიც საქართველოს, მათ

შორის ქართულ ღირებულებებსა და რელიგიას, გარე საფრთხეებისგან დაიცავდა. იგი არ იყო არც ამერიკული, არც რუსული, არამედ ქართული და, იმ ორისგან განსხვავებით, ადამიანის უფლებების არშემლახავი. იქიდან გამომდინარე, რომ კანონის საწინააღმდეგო საპროტესტო ტალღაში განსაკუთრებული როლი ახალგაზრდებმა შეასრულეს, პროტესტის მიმდინარეობისას და მის შემდეგ ახალგაზრდები რიტორიკის მნიშვნელოვანი ფოკუსი გახდნენ. მათ წარმოაჩენდნენ, ერთი მხრივ, როგორც გაბრიყვებულ პირებს, ვისაც კანონი წაუკითხავად გააპროტესტებინეს, ასევე, სქესარეულ ანარქისტებად, რომლებიც ასევე გარედან იყვნენ მართულები. ახალგაზრდების დისკრედიტაციის პარალელურად, მანამდე არსებულ კონკრეტულ სამიზნეებს, რასაც როგორც ზოგადად მთელი სამოქალაქო სექტორი, ასევე ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციები, და ოპოზიცია წარმოადგენდნენ, მიემატა ორი უნივერსიტეტი.

საინტერესოა ის ტენდენციაც, რომ ანტიდასავლური ნარატივები მონიტორინგის დასაწყის პერიოდში უმეტესად „ხალხის ძალის“ განცხადებებს ეფუძნებოდა. დასავლეთის კრიტიკამ კონკრეტული სახე და სამიზნეები სწორედ ამ მოძრაობის ჩამოყალიბების შემდეგ შეიძინა. კანონის ინიცირებიდან მოყოლებული კი გახშირდა მმართველი პარტიის ლიდერების განცხადებებზე დაყრდნობით შექმნილი კონტენტი. საკუთრივ პოსტების ავტორებს რაც შეეხება, ხშირი იყო როგორც პოლიტიკური ძალებისა და ცალკეული პოლიტიკოსების გვერდები, ასევე მათი მხარდამჭერი ექსპერტებისა და მედია საშუალებების გვერდები. ხელისუფლების მხრიდან წამოსულ ანტიდასავლურ ნარატივებს ხშირად კერძო პირები აზიარებდნენ საკუთარი პროფილით, რაც ზოგჯერ ეჭვს ბადებდა, რომ ეს პროფილები ნამდვილი არ იყო, ზოგჯერ კი კითხვა ჩნდებოდა, რაიმე დაინტერესება ხომ არ ჰქონდათ მათ, რადგანაც ერთსა და იმავე კონტენტს სხვადასხვა საჯარო ჯგუფებში აზიარებდნენ. ჯგუფები ანტიდასავლური რიტორიკის გავრცელების ერთ-ერთ მთავარ სივრცეს წარმოადგენდა და ამ მხრივ საინტერესოა ისიც, რომ ეს იყო როგორც ხელისუფლების ღიად მხარდამჭერი ჯგუფები, ასევე, თემატური ჯგუფები, რომელიც აღწერაში მითითებულ თემას უხვევდა.

დანართი 1 – პოსტებისა მათი გამავრცელებლების მახასიათებლები, პოსტებში ნახსენები აქტორები

პოსტების გავრცელების თავისებურებები

კვლევის ფარგლებში ნარატიული ანალიზის შედეგად გამოვლინდა საძიებო სიტყვები. აღნიშნული საძიებო სიტყვების დახმარებით და CrowdTangle ხელსაწყოს გამოყენებით ჩამოიტვირთა ჯამში 6280 პოსტი. რამდენადაც საკვლევი პერიოდი 4 ნაწილად იყო დაყოფილი, ნარატიული ანალიზიცა და შესაბამისად საძიებო სიტყვებიც ოთხ ჯგუფად გაიყო. ქვემოთ მითითებულ ცხრილში ჩანს თუ რამდენი პოსტი ჩამოიტვირთა ონლაინ ხელსაწყოს დახმარებით შესაბამის პერიოდში.

ცხრილი 1: ჩამოტვირთული პოსტების რაოდენობა პერიოდების მიხედვით (N):

	ჩამოტვირთული პოსტი (N)	რელევანტური პოსტები (N)
2022 წლის ივნისი - 2022 წლის ოქტომბერი	1557	477
2022 წლის ნოემბერი - 2023 წლის 15 თებერვლამდე	1584	602
2023 წლის 16 თებერვალი - 2023 წლის 9 მარტი	1466	440
2023 წლის 10 მარტი - 2023 წლის 31 მაისი	1673	724
სულ	**6280**	**2243**

თითოეული ჩამოტვირთული პოსტი მედია მონიტორების მიერ ინდივიდუალურად გაანალიზდა და შეფასდა პოსტის რელევანტურობა საკვლევ საკითხთან და ნარატივებთან მიმართებაში. აღმოჩნდა, რომ პოსტების ნაწილი, რომლებშიც ფიგურირებდა საძიებო სიტყვა, საკითხს საერთოდ არ შეეხებოდა. მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ სულ 2243, თითოეულ ფაზაში დაახლოებით 30-40% იყო რელევანტური. ყველაზე მეტად ბოლო ფაზაში აღმოჩნდა პროპორციულად ყველაზე მეტად რელევანტური პოსტები (43%), რაც სავარაუდოდ დაკავშირებულია საკითხის გარდამტეხ ფაზაში გადასვლასთან.

ამას მოწმობს პოსტების გავრცელების დინამიკაც. მოცემული რელევანტური პოსტების გავრცელება ოთხივე ფაზაში პერიოდულად იზრდებოდა და მცირდებოდა. საგულისხმოა, რომ განსაკუთრებული სიხშირე (მოდა - პიკი) ფიქსირდება მესამე ფაზის (2023 წლის 16 თებერვალი - 2023 წლის 9 მარტი) ბოლოსა და მეოთხე ფაზის დასაწყისში (2023 წლის 10 მარტი - 2023 წლის 31 მაისი) (იხ. შემდეგი დიაგრამა).

დიაგრამა 8: პოსტების გავრცელების სიხშირე დროის პერიოდების მიხედვით (N)



საგულისხმოა, რომ ყველაზე მეტი პოსტი ერთ დღეში საძიებო სიტყვებთან დაკავშირებული 2023 წლის 8 მარტს დაიწერა, მათ შორის განსაკუთრებით მეორდებოდა კახა კალაძის მიერ გავრცელებული ვიდეო,[3] სადაც თბილისის მერი საუბრობს „ქართული ოცნების" მიერ ევროინტეგრაციის მიზნით განხორციელებულ მოქმედებებზე და ევროინტეგრაციის თავისებურებებზე. ასევე ირაკლი კობახიძის ციტატა, რომელიც „ქარდებად" ვრცელდება სხვადასხვა გვერდზე: „ჩვენ ვივლით წინ ქრისტიანობით ევროპისკენ – ჩვენ ვივლით წინ ღირსებით ევროპისკენ."[4] 8 მარტის გარდა, ასევე ყველაზე მეტი პოსტი 12, 13, 14 და 16 მარტს გავრცელდა. საგულისხმოა, რომ 7 მარტს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონი" პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო და სწორედ მას მოჰყვა განსაკუთრებული აქტივობა სოციალურ ქსელში, როგორც კრიტიკული პერსპექტივიდან, ისე სამთავრობო აქტორების მხრიდან.

პოსტების გამავრცელებელი გვერდებისა და ჯგუფების მახასიათებლები

CrowdTangle-ის დახმარებით ჩამოიტვირთა პოსტები Facebook (META) საჯარო ჯგუფებიდან, გვერდებიდან და საჯარო პროფილებიდან. საგულისხმოა, რომ საკითხთან დაკავშირებით პოსტების გამავრცელებელი გვერდების უმრავლესობა 2012, 2017, 2021 წლებში. საგულისხმოა, რომ მოცემული წლები არჩევნების წლები იყო და შესაძლოა აღნიშნული გვერდების/ჯგუფების შექმნა აღნიშნულ მოვლენებთან იყოს დაკავშირებული.

[3] ხელმისაწვდომია აქ, 25/05/2024: https://fb.watch/sM0qfmWmry/
[4] ხელმისაწვდომია აქ, 25/05/2024: https://www.facebook.com/100063754232364/posts/652841226851013

დიაგრამა 9: პოსტის გამავრცელებელი გვერდების შექმნის წლები (N)



გვერდები / ჯგუფები რომლებზეც ყველაზე მეტი პოსტი დაიწერა კვლევის საკითხთან დაკავშირებით იყო: POSTV-ახალი ამბები, ხალხის ძალა / People's Power და TV Imedi. საგულიხსმოა, რომ POSTV-იცა და TV Imedi-იც[5] მიიჩნევა პროსამთავრობო ტელევიზიებად და მათი კონტენტი სამთავრობო ნარატივს ავითარებს (იხ. ცხრილი 2). ასევე ყველაზე ხშირი პოსტის ავტორი გვერდების სამეულშია პოლიტიკური პარტია - „ხალხის ძალას,"[6] FB-გვერდი. სწორედ აღნიშნულმა პარტიამ დააინიცირა ნახსენები კანონი პირველად.

ცხრილი 2: დაკვირვების პერიოდში საძიებო სიტყვების შესაბამისი ყველაზე მეტი პოსტის ავტორი გვერდები გავრცელებული პოსტების რაოდენობის მიხედვით (N) (მხოლოდ ის გვერდები, რომლებსაც კვლევის პერიოდში საკვლევ თემაზე 20 პოსტი მაინც ჰქონდათ):

გვერდების/ჯგუფების დასახელება	პოსტების რაოდენობა
POSTV – ახალი ამბები	118
ხალხის ძალა / People's Power	78
TV Imedi	76
მედიაჰოლდინგი „კვირა"	57
Front News – საქართველო	39
პროტესტი	39
POSTV – ანალიტიკა	32
For.ge – საინფორმაციო, ანალიტიკური პორტალი	29
Guria Times • გურია თაიმსი	28
ბიძინა ივანიშვილი & საზოგადოება	25

[5] https://civil.ge/archives/610806
[6] https://civil.ge/archives/525575

ანტი-მასონობა. „ანტიქრისტეს“ ახალი მსოფლიო წესრიგი (NWO); ანტი-ეკუმენიზმი	24
კახა კალაძე - ქართული ოცნება	24
რადიო იმედი	24
ყველაზე მთავარია - თავისუფლება	24
ჯორჯიან თაიმსი. GTTV	23
ცნობის ფურცელი	22
რადიო ჯორჯიან თაიმსი / Radio Georgian Times	20
რეპორტიორი	20

პოსტებში ნახსენები აქტორები

მედია მონიტორინგის პროცესში ხდებოდა ჩანიშვნა პოსტში ნახსენები აქტორების. მონიტორინგის სპეციალისტს მაქსიმუმ 5 აქტორი უნდა ჩაენიშნა. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ჩანს, რომ პოსტებში ყველაზე ხშირად „დასავლეთი,“ „ნაციონალური მოძრაობა,“ „აშშ“ / “ამერიკა“, „რუსეთი,“ „არასამთავრობო ორგანიზაციები“ ფიგურირებდნენ (იხ. დიაგრამა ქვემოთ).

დიაგრამა 10: პოსტებში ნახსენები აქტორები, მაქს. 5 აქტორი. ტოპ 20 (N):



საგულისხმოა, რომ დასახელებული ძირითადი აქტორებიდან რუსეთის გარდა ყველა უმეტეს შემთხვევაში უარყოფით კონტექსტში იყო ნახსენები. ყველაზე მეტჯერ 263-ჯერ პოსტებში "ნაციონალური მოძრაობა" იყო ნახსენები, არც-ერთ შემთხვევაში არ ყოფილა, რომ აღნიშნული აქტორი დადებითად ყოფილიყო ნახსენები, 97% პოსტებისა, სადაც ახსენეს - უარყოფითი იყო. ასეთივე შედეგი დაფიქსირდა არასამთავრობო ორგანიზაციებთან მიმართებაში. 172 პოსტიდან, რომლებშიც ნახსენები იყო არასამთავრობო ორგანიზაციები 96% შემთხვევაში აღნიშნული აქტორი უარყოფითად იყო ნახსენები. დასავლეთთან მიმართებაში ერთეული შემთხვევები იყო, როცა დადებითად იყო ნახსენები, თუმცა, ამჯერადაც ყოველი 10-დან 9 პოსტი ნეგატიურად აჩვენებდა დასავლეთს. აშშ-სთან მიმართებით იკლებს უარყოფითი სენტიმენტები, თუმცა, მაინც უმრავლეს პოსტში (72%) უარყოფით კონტექსტშია წარმოდგენილი. ყოველ მეხუთე პოსტში კი - ნეიტრალურად. ერთადერთი რუსეთია, რომელიც პოსტების უმეტეს წილში (50%) ნეიტრალურად არის ნახსენები. საგულისხმოა, რომ პოსტების 13%-ში რუსეთი დადებითად არის წარმოჩენილი, რაც აღნიშნულ ტოპ ნახსენებ აქტორებში დადებითი ხსენების მაქსიმუმია (იხ. დიაგრამა 11)

დიაგრამა 11: ყველაზე ხშირად ნახსენები აქტორები როგორ კონტექსტში არიან ნახსენები (%):



გარდა კონკრეტული აქტორების ხსენებისა, საინტერესოა თუ რომელი ნარატივები მეორდებოდა ყველაზე ხშირად (იხ. დიაგრამა 12). ყველაზე ხშირი ნარატივი ეხებოდა იმას, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ოპოზიციასთან ერთად დესტაბილიზაციას, პოლიტიკური კრიზისის შექმნას, ხელისუფლების შეცვლას/გადატრიალებას და პოლიტიკური პროცესის ქუჩაში გადატანას ცდილობენ. „ენჯეოები" მოქმედებენ როგორც პოლიტიკოსები და თავის ფუნქციას არ ასრულებენ. ეს ნარატივი მონიტორინგის პერიოდში 636 პოსტში იყო წარმოდგენილი.

მეორე ყველაზე ხშირი ნარატივი ომის საფრთხეს ეხმიანებოდა და ამტკიცებდა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები, ოპოზიციასთან და უცხოელ აქტორებთან ერთად (აშშ-ს და ევროკავშირის პოლიტიკური ფიგურები, უკრაინის პოლიტიკური ძალები) ქვეყნის ომში ჩართვას/საქართველოში მეორე ფრონტის გახსნას ცდილობენ. ეს თემა 488 პოსტში განმეორდა.

პოსტებში განმეორების სიხშირით მესამე ადგილას (374 პოსტი) დგას არასამთავრობო ორგანიზაციების დისკრედიტაციაზე მიმართული ნარატივი, რაც ეხება იმას, რომ მდიდარი ენჯეოების კლანი დონორი ორგანიზაციებისგან მილიონებს იღებს და მათ ინტერესებს ემსახურება (ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად).

დიაგრამა 12: ყველაზე ხშირად ნახსენები ნარატივები, რომლებიც 100-ზე მეტ პოსტში გაჟღერდა (N):

დანართი 3 – ანტიდასავლური ნარატივები

1. მდიდარი „ენჯეოების“ კლანი დონორი ორგანიზაციებისგან მილიონებს იღებს და მათ ინტერესებს ემსახურება (ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად);

2. უცხოელი დონორები ძალადობრივ რეჟიმს აფინანსებენ;

3. არასამთავრობო ორგანიზაციები ოპოზიციასთან ერთად დესტაბილიზაციას, პოლიტიკური კრიზისის შექმნას, ხელისუფლების შეცვლას/გადატრიალებას, პოლიტიკური პროცესის ქუჩაში გადატანას ცდილობენ. „ენჯეოები“ მოქმედებენ, როგორც პოლიტიკოსები და თავიანთ ფუნქციას არ ასრულებენ;

4. არასამთავრობო ორგანიზაციები/ოპოზიცია ქვეყნის მოღალატეები, ანტისახელმწიფოებრივი საქმის გამკეთებლები არიან, სარწმუნოების და ეროვნულობის წინააღმდეგ მოქმედებენ და საქართველოს საქმეს უფუჭებენ და რეპუტაციას ულახავენ;

5. არასამთავრობო ორგანიზაციების სტრუქტურა ბრეჟნევის მმართველობას ჰგავს; ავტოკრატიული მმართველობის სტილს მიჰყვება; არასამთავრობო სექტორში მოქმედებს კლანური პრინციპი; კლანური პრინციპით იღებენ გადაწყვეტილებებს;

6. არასამთავრობო ორგანიზაციები, ოპოზიციასთან და უცხოელ აქტორებთან ერთად (აშშ-ს და ევროკავშირის პოლიტიკური ფიგურები, უკრაინის პოლიტიკური ძალები) ქვეყნის ომში ჩართვას/საქართველოში მეორე ფრონტის გახსნას ცდილობენ.

7. კონკრეტული დასავლელი პოლიტიკოსები ებრძვიან ბიძინა ივანიშვილს - კონკრეტული დასავლელი პოლიტიკოსები, ორგანიზაციები და ოპოზიცია, დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონით, ებრძვიან ბიძინა ივანიშვილს, მაშასადამე, ებრძვიან სიმშვიდეს და სტაბილურობას ქვეყანაში;

8. სანქციებით ქართველი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლა - დასავლელი პოლიტიკოსები სანქციების შემოტანით ცდილობენ ქართველი ხალხის ნების გატეხვას და იძულებას, რომ უარი თქვან დამოუკიდებლობაზე, ეროვნულ პრინციპებზე და დაემორჩილონ დასავლეთის ბრძანებებს (აქ შეიძლება, ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ დაწესებული სანქციებიც იგულისხმებოდეს. ასევე, არგუმენტები იმის შესახებ, რატომ არ უნდა შეუერთდეს რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს საქართველო, რატომ გვაიძულებს ამას დასავლეთი);

9. კორუმპირებული ევროკავშირი/დასავლეთი/აშშ - ევროკავშირის სტრუქტურები კორუმპირებულია;

10. ევროკავშირი/დასავლეთი/აშშ კრიმინალების მფარველია - დასავლეთი მფარველობს კრიმინალურ პოლიტიკურ ძალებს საქართველოში;

11. ევროპარლამენტი/ევროკავშირი/დასავლეთი/აშშ ეწევა ლგბტ პროპაგანდას - ევროპარლამენტარი დეპუტატები გვახვევენ თავს ლგბტ პროპაგანდას და უპირისპირდებიან ტრადიციულ ფასეულობებს, ეკლესიას და სახელმწიფოს;

12. ევროკავშირში გაწევრიანება ქართველი ხალხისთვის თავისუფლების დაკარგვას და აგენტოკრატიას ნიშნავს (მედიის თავისუფლების, სამართლის უზენაესობის, ეკონომიკური სტაბილურობისა და ტრადიციული ღირებულებების დათმობას და ფასეულობებისგან დაცლილი აგენტოკრატიის დამყარებას ნიშნავს);

13. უცხოური გავლენის კანონი ამერიკული FARA-ს (უცხოელი აგენტების რეგისტრაციის აქტი) მსგავსია, მისი მიზანი გამჭვირვალობაა და ტყუილია, რომ ის საფრთხეს უქმნის ქვეყნის ევროატლანტიკურ მომავალს;

14. უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონი იცავს ქვეყნის უსაფრთხოებას და ტრადიციებს - არასამთავრობო სექტორი ვეღარ შეძლებს შემოდინებული ფულით ხალხის „ტვინის გამორეცხვას“ და რევოლუციის მოწყობას. აშშ-სა და ევროპის ქვეყნების თანამდებობის პირებს ფინანსური გამჭვირვალობა არ სურთ, რადგან ბევრი აქვთ დასამალი;

15. კანონპროექტის მოწინააღმდეგეები ებრძვიან დედა-ეკლესიას, რწმენას, ქართულ მენტალობას, მამა-პაპეულ ტრადიციებს;

16. ევროპა და დასავლეთი საქართველოს წინააღმდეგ ჰიბრიდულ ომს აწარმოებენ, არ სურთ ქვეყანაში დემოკრატიის ზრდა და უსაფრთხოება;

17. არასამთავრობო ორგანიზაციების დამფინანსებლები ებრძვიან ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობას;

18. უცხოური გავლენის შესახებ კანონი საჭიროა სხვა ქვეყნებიდან შემოსული დაფინანსების რეგულაციისთვის;

19. ქართული პოლიტიკური ძალები, ოპოზიცია, რადიკალური ჯგუფები (განსაკუთრებით „სირცხვილია“, „დროა“) რუსეთის ინტერესების გამტარი, რუსეთის აგენტები არიან;

20. ღირსებით ევროპისკენ - ღირსეული ევროპა, „პატიოსანი თამაშის წესები“, მყარად ორ ფეხზე დგომით ევროკავშირის წევრობა;

21. კანონის მოწინააღმდეგეები/აქციის მონაწილეები ბოლშევიზმის/ფაშიზმის მიდგომებს იყენებენ საწინააღმდეგო აზრის მქონე პირების მიმართ (ზეწოლას ახორციელებენ პოლიტიკოსებსა და მათი ოჯახის წევრებზე, სკოლის მოსწავლეების მშობლებს, რომლებიც კანონის მიღების წინააღმდეგ არ გამოდიან, მოღალატეებად მოიხსენიებენ, უნივერსიტეტიდან ლექტორების გაყრის მოთხოვნით გამოდიან, რადგან ნაციონალური მოძრაობის ინტერესებს არ ემსახურებიან. დასავლელი პოლიტიკოსები კი თვალს ხუჭავენ აქციის მონაწილეების დესტრუქციულ ქმედებებზე);

22. კანონის უკან გაწვევა ხელისუფლების გამარჯვებაა, რადგან ამით მან აირიდა მიზანმიმართული პროვოკაცია, არეულობა ქვეყანაში და დაიცვა ახალგაზრდების სიცოცხლე და ჯანმრთელობა;

23. დასავლეთი/ოპოზიცია/რადიკალური პოლიტიკური ჯგუფები/ენჯეოები ახალგაზრდების გამოყენებას ცდილობენ ქვეყნის უსაფრთხოების/სუვერენიტეტის წინააღმდეგ და იყენებენ მათ ქვეყანაში არეულობის მოწყობისათვის;

24. დასავლეთი (აშშ, ევროკავშირი, ევროპა) ერევა ქართული მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობაში (სასამართლოს თანამშრომლების და სხვა ასოცირებული პირების მოსყიდვით, აგენტურული ქსელის ფორმირებით და სხვა ხერხებით, დასავლეთი ცდილობს მართლმსაჯულების ხელში ჩაგდებას/მასზე გავლენის მოპოვებას, რაც ქვეყნის სუვერენიტეტისთვის საფრთხის შემცვლია. ხორციელდება პიროვნული შეტევა ქართველ მოსამართლეებზე);

25. რუსეთისთვის სანქციების დაწესება და სავიზო რეჟიმის გამკაცრება საფრთხეს უქმნის ქვეყნის უსაფრთხოებას (დასავლელი პოლიტიკური ძალები, რომლებიც საქართველოს რუსეთისთვის დაწესებული სანქციების შეერთებისკენ მოუწოდებენ, ქვეყენას მიზანმიმართულად აგდებენ საფრთხეში);

26. კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმა პოლიტიკური გადაწყვეტილებაა და უსამართლოა;

27. არჩევნებთან დაკავშირებული კვლევების გაყალბება დესტაბილიზაციას ისახავს მიზნად (არჩევნების პარალელური დათვლის შედეგების გაყალბებით არასამთავრობო სექტორი და ოპოზიცია, ქვეყანაში პოლიტიკური პროცესების ქუჩაში გადატანას, დესტაბილიზაციას ცდილობდა, რასაც ამერიკელი და ევროპელი ელჩები არ გაემიჯნენ);

28. დასავლეთი ავრცელებს დეზინფორმაციას, ეწევა პროპაგანდისტულ კამპანიას - ამერიკულ და ევროპულ მედიაში ყალბი სტატიები იბეჭდება, ყალბი ექიმები, ყალბი პოლიტიკოსები, ყალბი თანამდებობის პირები ჩართული იყვნენ ქართველი ხალხის წინააღდეგ მიმართულ კამპანიაში;

29. დასავლეთი საქართველოში პოლიტიკურ პარტიებს უკანონოდ აფინანსებს - აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის, ელჩი და ევროკავშირის კომისიის ხელმძღვანელები უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონის წინააღმდეგი იყვნენ, რადგან ისინი საკუთარი ინტერესების გასატარებლად არღვევენ საქართველოს კანონმდებლობას (შემოვლითი გზებით აფინანსებენ პოლიტიკურ პარტიებს: გირჩი-მეტი თავისუფლება, დროა-ევროპული საქართველო. ისინი მსჯელობენ იარაღსა და რევოლუციაზე);

30. რუსული კანონის სტიგმა საზღვარგარეთიდან შემოაგდეს, რომლის მიზანი არასახელმწიფოებრივი გზით გადატრიალების მოწყობა იყო, ე.წ. „მაიდნის“ სცენარი;

31. კანონის მოწინააღმდეგეები (აშშ-ის ელჩი, პრესსპიკერი, ევროკავშირის ცალკეული წარმომადგენლები, ევროკომისია, ევროპარლამენტი, ქართული ოპოზიცია) ორმაგი სტანდარტებით მოქმედებენ: ერთი მხრივ, ისინი უცხოური გავლენის შესახებ კანონს რუსულს უწოდებენ და რამდენიმე კვირის შემდეგ თავად იწყებენ მსგავს კანონზე მუშაობას (ეს ეხება მხოლოდ კანონის მიღების კონტექსტს);

32. რუსეთ-საქართველოს შორის პირდაპირი ფრენების აღდგენასთან დაკავშირებით ელჩების დემარში არაობიექტურია: 2019 წელს, როდესაც რუსეთმა ფრენებზე ცალმხრივი სანქცია დააწესა, ამერიკელი და ევროპელი პარტნიორები რუსეთს სანქციების მოხსნისკენ მოუწოდებდნენ, ახლა ისინი პირდაპირ ფრენებს ეწინააღმდეგებიან. ეს დემარში არაობიექტურია. საქართველოს მხრიდან სანქციების დაწესება სახიფათოა. ეს გლობალური ომის პარტიას და რადიკალურ ოპოზიციას უნდათ. ეს ეკონომიკური თვალსაზრისით ქვეყანას დააზიანებს და რისკებს შეიცავს (უკრაინის ომის ფონზე);

33. დასავლეთს/აშშ-ს/ევროკავშირს ხელისულებაში ისეთი ძალის მოსვლა სურთ, ვინც მათ ინტერესებს ემსახურება/ვინც მათ დავალებებს შეასრულებს;

34. დასავლეთმა მიიღო უკანონო რეზოლუცია მიხეილ სააკაშვილის და ნიკა გვარამიას გათავისუფლების მოთხოვნასთან დაკავშირებით.